Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

ეფექტური კომუნიკაციის მასტიმულირებელი გარემო ადრეული ასაკის საგანმანათლებლო დაწესებულებებში

საკითხავი მასალა საბაკალავრო საფეხურის ფსიქოლოგიისა და განათლების მიმართულების სტუდენტებისათვის

მოამზადა ნინო ცინცაძემ, ERASMUS + ABC – Assisting Better Communication პროექტის ფარგლებში

2018 წლის თებერვალი

თანემდროვე მკვლევარები თვლიან, რომ ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის მთავარი მაჩვენებელია, ბავშვებსა და უფროსებს შორის არსებული კომუნიკაციის ხარისხი. *ხარისხიანი* კომუნიკაცია მნიშვნელოვანია ყველა ბავშვისათვის. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის კი *ხარისხიანი* კომუნიკაცია ორმაგად მნიშვნელოვანია.

NAYEC[1], აშშ ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე მასწავლებლების ყველაზე მსხვილი და გავლენიანი პროფესიული ასოციაცია, ბავშვებან ურთიერთობის, მათთან კომუნიკაციის 10 მნიშვნელოვან სტრატეგიაზე საუბრობს, რომლის გამოყენებაც სკოლამდელ დაწესებულებაში მომუშავე ყველა ადამიანს მოეთხოვება:

1) ბავშვის აღიარება და დაფასება - „მადლობა, რომ დამეხმარე, ლუკა“; „ყოჩარ, შენ ხუთის ჩვენების სხვაგვარი გზაც იპოვე“ - დააფასეთ, რასაც ბავშვები აკეთებენ ან ამბობენ. აგრძნობინეთ ბავშვებს, რომ გაიგონეთ, დაინახეთ და შეამჩნიეთ მათი ნათქვამი, უპასუხეთ მათ ძალისხმევას, ან ახლოს დაჯექი ცოტა ხნით და ყურადღებით უყურეთ, რას აკეთებენ.
2) წახალისება - „შენ ცდილობ ბევრი სხვადასხვა სიტყვა მოიფიქრო ძაღლის ასაღწერად. კარგია, ასე, გააგრძელე“ - წაახალისეთ თანმიმდევრულობა და მცდელობა იმის ნაცვლად, რომ ერთჯერადად შეაქოთ ან შეაფასოთ ბავშვის გაკეთებული.
3) კონკრეტული მინიშნება - „ლობიოს ტომარა ვერ მიწვდა ჰულა-ჰუპს, მგონი უფრო მძლავრად უნდა სცადო“ - გააკეთეთ კონკრეტული მინიშნებები და არა ზოგადი კომენტარები.
4) მოდელირება -„ასე არ გამოვიდა, უნდა დავფიქრდე, რატომ“; „ბოდიში, ნია, კარგად ვერ გავიგე, რა მითხარი, შეგიძლია გაიმეორო?“ - არ დაკმაყოფილდეთ მხოლოდ დიდაქტიკური საუბრით, თავად მოახდინეთ

[1] https://www.naeyc.org/files/naeyc/file/positions/PSETH05.pdf

დამოკიდებულებების, პრობლემებთან მიმართების და სხვების მიმართ ქცევის მოდელირება.

5) დემონსტრირება - ხშირად აჩვენეთ ბავშვებს სხვადასხვა რამეების სწორად კეთების გზები, მაგალითად, როგორც გამოვიყენოთ სასწორი, როგორ შემოვხაზოთ ასო, რა ხერხით ჯობია შევიკრათ ელვა ან თასმა და ა.შ.
6) შექმენით გამოწვევა - შექმენით სიტუაცია, როდესაც ბავშვებს იმაზე ცოტა უფრო მეტის გაკეთება მოუწოვეთ, ვიდრე მათ ახლა იციან ან შეუძლიათ.
7) დააფიქრე - „შენს მეგობართან დალაპარაკება რომ არ შეგეძლოს, როგორ გააგებინებდი, რისი გაკეთება გინდა?“ - დასუვით ბავშვებს ისეთი შეკითხვები, რომელზე პასუხსაც დაფიქრება ჭირდება.
8) მინიშნება - „აბა, მოდი ვიფიქროთ, რა სიტყვა ერითმება შენს სახელს, ნინო?“ - დაეხმარეთ ბავშვებს მინიშნებებით, ისე, რომ მათ შეძლონ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმალურ ზღვარზე ოპერირება.
9) მიაწოდეთ ინფორმაცია - „ამ ცხოველს, დიდ თაგვს რომ გავს პატარა კუდით, თახვი ქვია“.
10) მიეცით მიმართულება ბავშვების ქცევებსა და ქმედებებს - „კუბურების დათვლისას, თითოს თითოჯერ შეეხე“.

„როგორ“ თუ „რატომ“?

თავისთავად ცხადია, თუ ადამიანს დავუსვამთ შეკითხვას, როგორ ხდება კომუნიკაცია, ის გიპასუხებთ, რომ ადამიანები ერთმანეთთან კომუნიკაციას ჟესტების, ბგერების და სიტყვების მეშვეობით ამყარებენ. მაგრამ, როდესაც ხარისხიან კომუნიკაციაზე ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია გავცდეთ შეკითხვას „როგორ“ და დავფიქრდეთ შეკითხვაზე „რატომ“.

იმისათვის, რომ ბავშები ხარისხიანი საკომუნიკაციო გარემოთი ვუზრუნველყოთ, მნიშვნელოვანია, დავფიქრდეთ იმ მიზეზებზე, თუ რატომ შევდივართ ერთამეთთან კომუნიკაციაში, რატომ ვიყენებთ ჟესტებს, ბგერებსა თუ სიტყვებს?

კომუნიკაცია ჩვენ გვეხმარება ფიზიკური საჭიროებების დაკმაყოფილებაში, მაგრამ იგი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ყველას აქვს დაუძლეველი სურვილი გაუზიაროს სხვა ადამიანს თავისი გრძნობები, იდეები და გამოცდილებები. როდესაც ბედნიერები, მოწყენილები, აღელვებულები, გახარებულები ან იმედგაცრუებულები ვართ, ძალიან გვჭირდება დაველაპარაკოთ სხვებს და როდესაც ასე ვიქცევით კმაყოფილების საოცარ განცდას ვგრძნობთ. ახლა წარმოიდგინეთ თქვენი თავი ისეთ გარემოში, სადაც არ იცით, როგორ უნდა შეხვიდეთ სხვებთან კომუნიკაციაში და სადაც სხვებს თქვენი არ ესმით. ცხადია, ასეთ ვითარებაში ხანგრძლივად ყოფნა თქვენს ემოციებსა და შემდეგ ქცევაზეც უარყოფითად აისახება - გაბრაზდებით, შიშისა და იმედგაცრუეების გრძნობა დაგეუფლებათ, შეეცდებით თქვენი იმედგაცრუება პროტესტით ან აგრესიით გამოხატოთ ან ჩაიკეტებით და სხვებთან ურთიერთობას თავს საერთოდ აარიდებთ. ხადნდახან, დაახლოებით იგივეს გრძნობენ და იგივენაირად იქცევიან ხოლმე კომუნიკაციის სირთულეების მქონე ბავშვები.

გარდა ფიზიკური და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებისა, ენას კიდევ ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფუნქცია აქვს: ენა არის ფიქრის, სწავლისა და პრობლემების გადაწყვეტის ინსტრუმენტი. ენის დახმარებით, ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ ალტერნატივები, ვიმსჯელოთ მიზეზებზე, წარმოვიდგინოთ, დავგეგმოთ, ვივარაუდოთ და პრობლემებს გადაწყვეტა მოვუნახოთ. ჩვენს გონებაში, ენის გამოყენებით ყოველდღიურად ვიღებთ ათასობით პატარა გადაწყვეტილებას და ვჭრით ათასობით ყოველდღიურ ყოფით საკითხს. რომ შევაჯამოთ, კომუნიკაციითა და ენითაა განსაზღვრული მთელი ჩვენი ცხოვრება. სწორედ ამიტომ, როდესაც თანამედროვე მკვლევარები ადრეული და

სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ საუბრობენ, მათი განხილვის პირველი საგანი ბავშვებთან დამყარებული კომუნიკაციის ხარისხია. კომუნიკაციის ხარისხით განისაზღვრება, რამდენად ვაძლევთ საშუალებას ბავშვებს საშუალებას ადრეული ასაკიდანვე ისწავლონ ფიქრი, გამოძიება, საკუთარი და სხვისი გრძნობების გაცნობიერება, საკუთარი და სხვისი აზრების დაფასება, იგრძნონ თავი დაცულად და დაფასებულად.

პირველი ხუთი წლის მანძილზე ბავშვები ეტაპობრივად ივითარებენ კომუნიკაციურ და ენობრივ უნარებს, შესაბამისად, სწორედ ამ წლებში ეყრება საფუძველი მათი სოციალიზაციისა და სხვებთან ურთიერთობების შესაძლებლობებს; ამ ასაკში ვითარდება მათი უნარი იფიქრონ, შეადარონ, გაანალიზონ, მოძებნონ ალტერნატიული გზები, გადაჭრან პრობლემები, წარმოიდგინონ და შექმნან. იმ უფროსებმა, ვინც ბავშვებთან ამ ასაკში ყველაზე დიდ დროს ატარებენ უნდა იცოდნენ, რამდენად მნიშვნელოვანია მათი ყურადღებიანი დამოკიდებულება და კარგი *კომუნიკაციური პარტნიორობის* გაწევა, იმისათვის, რომ ბავშვებმა თავიანთი პოტენციალის მაქსიმუმს მიაღწიონ. ადრეული განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებს კარგად უნდა ქონდეთ გაცნობიერებული კომუნიკაციის არსობრივი მნიშვნელობა, ამ ასპექტის ყველა „რატომ“ და ასევე კარგად უნდა იცოდნენ ბავშვის ენობრივი განვითარების ეტაპები, რათა ყველა ბავშვისათვის, მისთვის შესაფერისი მაქსიმალურად ეფექტური საკომუნიკაციო გარემო შექმნან.

ენის დაუფლება ენობრივი სირთულების მქონე ბავშვებისათვის ადვილი ამოცანა არ არის. ენობრივი დარღვევის მქონე ზოგიერთი ბავშვი ენობრივი განვითარების იგივე კანონზომიერებას მიყვება, როგორც ტიპიური განვითარების ბავშვი, მაგრამ განვითარება უფრო ნელა ხდება. ზოგიერთი ბავშვი შესაძლოა განვითარების რაღაც საფეხურზე „გაიჭედოს“ და მისთვის შემდეგ საფეხურზე გადასვლა აღმოჩნდეს რთული. ზოგიერთი ბავშვებისათვის კი ენა განსხვავებულად ვითარდება, მათი სპეციფიური სირთულეებიდან გამომდინარე. მაგალითად, აუტიზმის მქონე

ბავშვებს შეიძლება შეეძლოთ სიტყვების თქმა, მაგრამ ამ სიტყვებს მხოლოს მოთხოვნების წამოსაყენებლად იყენებდნენ და არა სხვა მიზნებისათვის. ხანდახან მნიშვნელობა, რომელსაც ისინი ზოგიერთ სიტყვას მიანიჭებენ არაკონვენციურია და მსმენელის დაბნევას იწვევს. ამიტომ, როგორც აღინიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის ენობრივი განვითარების ეტაპების ცოდნა არა მხოლოდ იმიტომ, რომ გავიაზროთ, რას ველოდოთ ბავშვებისგან, არამედ იმისთვისაც, თუ როგორ დავეხმაროთ მათ გადავიდნენ შემდეგ საფეხურზე.

ბავშვები ენას ეუფლებიან უფროსებთან და თანატოლებთა ყოველდღიურ ურთიერთობაში. რაც უფრო სასიამოვნო, ხშირი, საინტერესო და ბავშვის ენობრივი განვითარებისათვის შესაბამისია ეს კომუნიკაცია, მით უფრო სწრაფად და ბუნებრივად ვითარდება ენა. ხელოვნურად შექმნილ გარემოში, სადაც ბავშვი თავს უფრო გამოცდაზე გრძნობს, სადაც მას მუდმივად საკუთარი ცოდნისა და შესაძლებლობების დემონსტრირებას თხოვენ და აფასებენ ენობრივი განვითარების კარგი გარემო არ არის.

არსებობს მითი, რომ ენობრივი სირთულეების მქონე ბავშვი ენის განვითარებას თავისთავად შეძლებს, თუ ის საბავშო-ბაღში „ტიპიური“ განვითარების ბავშვების გვერდით იქნება. სინამდვილეში:

- ბავშვები, რომლებსაც კომუნიკაციის სურთულეები აქვთ ხშირად არიან უარყოფოლები და იზოლირებულები
- ტიპიური განვითარების ბავშვი თითქმის არასდროს ირჩევს თამაშში პარტნიორად ენობრივი შეფერხების მქონე ბავშვს
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს ურჩევნიათ ჯგუფში უფროსებთან იურთიერთონ, ვიდრე თავიანთ თანატოლებთან

- თუ სპეციალაური საჭიროების მქონე ბავშვი ჩართულია ბავშვების ჯგუფურ თამაშებში, მას როგორც წესი, პასიური როლი აქვს, მაგალითად, „ჩვილი“ სახლობანას თამაშისას.[2]

ბავშვის უნარი იყოს ჩართული მის სოციალურ და კომუნიკაციურ უნარებამდე დაიყვანება. კარგი კომუნიკაციური უნარების გარეშე, ბავშვებს უჭირთ იმაზე მსჯელობა, თუ როგორი სათამაშოთი ურჩევნიათ თამაში ან როდის დადგება მათი ჯერი. ამის ნაცვლად ისინი კომუნიკაციის ისეთ მარტივ ხერხებს იყენებენ, როგორიცა ხელის კვრა, წართმევა ან ჩარტყმა, რაც მათ მეგობრების მოზიდვაში არ ეხმარება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბავშვი ცდილობს იურთიერთოს თანატოლებთან, ის ხშირად გარიყული რჩება, განმეორებით მცდელობას კი თავს ანებებს, რადგან უარყოფითი გამოცდილებების გამეორება არ უნდა და ამიტომ უფროსებთან ურთიერთობას ამჯობინებს.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ თავისთავად, უფროსების მხრიდან დახმარებისა და სპეციალური ჩარევის გარეშე, მხოლოდ ზრდასთან ერთად, ეს პრობლემები არ გვარდება. თუ ბავშვს არ ეხმარებიან განივითაროს სოციალური და კომუნიკაციური ურთიერთობები საბავშვო ბაღში, მას თანატოლებთან ურთიერთობისას პრობლემები ექმნება სკოლის ასაკშიც. შესაბამისად, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვს სჭირდება სპეციფიური და თანმიმდევრული დახმარება (იხ. ქვეთავი კომუნიკაციური და ენობრიცი საჭიროებების გათვალისწინება) ჯგუფის აქტიური და ჩართული წევრი რომ გახდეს. მისი წარმატებული ჩართვა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ზრუნავს აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი და ბაღში

[2] Elaine Weitzman and Janice Greenberg, Learning Language and Loving it; Hanen Center Publication, 2002. გვ. 16

მომუშავე სხვა სპეციალისტი მის განვითარებასა და სხვა ბავშვებთან ურთიერობაზე.

როდესაც ბავშვი ვერ ახერხებს ლაპარაკს (ვერ ივითარებს ფუნქციურ ენას, სავარაუდოდ, ორალურ-მოტორული სირთულეების გამო), მას აუცილებლად უნდა შევთავაზოთ **კომუნიკაციის ალტერნატიული** საშუალებები - ეს შეიძლება იყოს მინიშნებები, ჟესტები თუ სურათები. ცხადია, ეს უნდა გავაკეთოთ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ესმის, რომ სიტყვას, ნიშანს ან სურათს რაღაც შინაარში აქვს. რამდენადაც უკეთესად ესმის ბავშვს სიტყვები, მით უკეთესი იქნება მისი შესაძლებლობა გამოიყენოს კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებები.

არავერბალური ბავშვებისათვის ნიშნებითა და სურათებით კომუნიკაციის საშუალების მიწოდება ამცირებს მათ იმედგაცრუებას კომუნიკაციასთან დაკავშირებით და ეხმარება მათ გამოხატონ თავიანთი სურვილები. ბავშვს, მაგალითად შეუძლია გამოიყენოს „კიდე-ს“ ჟესტი ან მოითხოვოს საყვარელი სათამაშო ან თამაში. სხვა ბავშვმა შესაძლოა სწრაფად ისწავლოს სურათებით მინიშნება, მიაწოდოს უფროსს სურათი, რათა რამე მოითხოვოს ან რამეს უპასუხოს. როდესაც ბავშვები ხედავენ, რომ კომუნიკაცია სარგებლობასთან და არა იმედგაცრუებასთანაა დაკავშირებული, ისინი მოტივირებულნი ხდებიან უფრო მეტად გამოიყენონ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები. ხანდახან ბავშვი, შესაძლებელია სიტყვებისა და ჟესტების ან სიტყვებისა და სურათების კომბინაციას იყენებდეს. ამ შემთხვევაში, კომუნიკაციის არავერბალური ფორმა **აუგმენტური კომუნიკაცია** იქნება, (და არა ალტერნატიული), რადგან ის ავსებს და არ ანაცვლებს მეტყველებას. დროთა განმავლობაში, როდესაც ბავშვი მეტყველებას უკეთ განივითარებს მან შესაძლოა აუგმენტური კომუნიკაცია მეტყველებით ჩაანაცვლოს).

არსებობს მოსაზრება, რომ ალტერნატიული ან აუგმენტური კომუნიკაცია ვერბალურ კომუნიკაციას აფერხებს. პირველ რიგში, თუ ბავშვი ვერ მეტყველებს მას აუცილებლად უნდა შევთავაზოთ კომუნიკაციის რაიმე საშუალება, რადგან კომუნიკაცია ადამიანის არსებობის საბაზისო ჩარჩოა და მისი შეზღუდვა (თუნდაც იმს სურვილით, რომ ბავშვმა სწრაფად განივითაროს ვერბალური ენა) ბავშვის ემოციურ ტრამვას და შესაბამისად მიუღებელი ქცევის პროვოცირებას იწვევს. ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაციის საშუალებები, გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვს მეტ სივრცეს აძლევს კომუნიკაციისთვის, შესაბამისად მეტ საშუალებას აძლევს ენობრივი განვითარებისათვისაც, რაც თავისთავად უწყობს ხელს მეტყველების განვითარებას (იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ორალურ-მოტორული დარღვევის მძიმე ფორმა არა აქვს და დროს კი მას ცხადია, კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებები სჭირდება).

უფროსების საკომუნიკაციო სტილი

ჰანენის პროგრამა[3] უფროსის მხრიდან ბავშვებთან ურთიერთობისას მორგებულ რამდენიმე როლზე საუბრობს. საბავშვო ბაღში აღმზრდელ-პედაგოგები და აღმზრდელები ხშირად **დირექტორის** (დირექტიული სტილი) როლს ირგებენ ხოლმე და ბავშვებთან ურთიერთობისას ძირითადად ან ინსტრუქციებს იძლევიან ან შეკითხვებს სვამენ. მიუხედავად იმისა, რომ დროდრო ამ როლის გამოყენებაც საჭიროა, მუდმივად ამ როლში ყოფნა ბავშვების მხრიდან ინიციატივისა და კომუნიკაციის წამოწყების სურვილს ძალიან აფერხებს. ამ სტილს უფროსები ასევე ხშირად იყენებენ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთანაც, რათა ასწავლონ და ესა თუ ის უნარი განუვუთარონ - „დადე წითელი კუბიკი ზემოდან“, „მომაწოდე ორი ჩხირი“ და ა.შ. თუმცა, უფროსებს ავიწყდებათ, რომ კომუნიკაციის ეს სტილი

[3] Elaine Weitzman and Janice Greenberg, Learning Language and Loving it; Hanen Center Publication, 2002

ისევე აფერხებს ინიციატივასა და კომუნიკაციას სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებში, როგორც დანარჩენ ბავშვებში.

ხანდახან უფროსები ბავშვებთან **გამრთობის** როლს ირგებენ, განსაკუთრებით იმ ბავშვებთან, რომლებიც უფრო ჩაკეტილები არიან და რომელთა „გახსნაც“ ჭირს, თუმცა ავიწყდებათ, რომ მათი ზედმეტი ინიციატივა და ზედმეტად ანიმაციური სტილი ბავშვს ინტერაქციისა და კომუნიკაციის სივრცეს აღარ უტოვებს - ბავშვის ჩუმი მინიშნებებისა და რეაქციებისათვის ადგილი აღარ რჩება.

საბავშო ბაღში საკმაოდ ხშირია, როდესაც მასწავლებელს **„მოჩქარეს“** პოზიცია უჭირავს და საჭიროზე ხშირად ამბობს სიტყვას „ჩქარა“. ამის მიზეზი მასწავლებლის სურვილია, ყველაფერი მოასწროს და დაგეგმილ გრაფიკში ზუსტად ჩაეტიოს, თუმცა ბავშვებთან ურთიერთობისსა ეს სტილის მათ სიმშვიდისა და კონცენტრირების საშუალებას უკარგავს, დაჩქარება განსაკუთრებით არასასარგებლოა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის.

ხანდახან ზედმეტად **მოდუნებულ** უფროსსაც შევხვდებით, ისინი ამ სტილს იმ ბავშვებთან ურთიეთობისას არჩევენ, რომლებსაც ისედაც თავისი დღის წესრიგი აქვთ და მარტო თამაში ურჩევნიათ. თუმცა, ამგვარ ბავშვებსაც ძალიან ჭირდებათ ისეთ უფროსთან ურთიერთობა, რომელიც მას სხვებთან ინტერაქციის უნარების განვითარებაში დაეხმარება.

უფროსებისათვის **ზემზრუნველი** როლიც საკმაოდ დამახასიათებელია. ისინი ფიქრობენ, რომ ბავშვი თავს თავად ვერ გამოხატავს, ამიტომ მათ ნაცვლად ლაპარაკობენ ან დახმარებას სთავაზობენ, მანამდე, სანამ ისინი ამის რაიმენაირ საჭიროებას გამოხატავენ. უფროსების ეს როლი ბავშვების დახმარების სურვილითაა გამოწვეული, მაგრამ ამით ბავშვი სწავლობს, რომ მისგან ბევრს არ ელიან.

დამჯილდოვებლის როლში, უფროსები ყოველ წუთას ცდილობენ დადებითი კომენტარების გაკეთებას და ყველაფერზე ამბობენ „ყოჩაღ“, „კარგად გააკეთე“, „სწორად თქვი“. ამ სტილის უარყოფოთი მხარე შეიძლება ის იყოს, რომ ბავშვები ზედმეტად დამოკიდებული ხდებიან შექებაზე და შესაძლოა რაიმე სიახლის სწავლის ნაკლები ინიციატივა გამოიჩინონ. გარდა ამისა, ამ სტილის მქონე ადამიანები, როგორც წესი კომუნიკაციას ამ შექებით ასრულებენ, ინტერაქცია ხშირად სრულდება ფრაზით „ყოჩაღ“ მაშინ, როდესაც მისი უფრო საინტერესოდ გაგრძელება შეიძლება. მაგ: ლუკას ნათქვამზე, - „ნაზი, ნახე, გიგანტური მანქანა გავაკეთე კუბურებით“, უფრო მოსალოდნელია, რომ „დამილდოვებელი“ უპასუხებს „ყოჩაღ, ლუკა, მაგარი მანქანაა“, და ინტერაქცია აქ დასრულდება, არადა დიალოგის გაგრძელება ასეც შეიძლებოდა:

- ლუკა: ნაზი, ნახე, გიგანტური მანქანა გავაკეთე კუბურებით
- ნაზი: ლუკა, რა საოცარი მანქანაა! სად აპირებ წასვლას შენი მანქანით?
- ლუკა: აფრიკაში უნდა წავიდე სპილოების სანახავად
- ნაზი: აფრიკაში? აფრიკა ძალიან შორსაა. ვფიქრობ, რომ ბევრი დრო დაგეხარჯება, სანამ აფრიკაში ჩახვალ.
- ლუკა: არა! ჩემი მანქანა დაფრინავს და თან ძალიან სწრაფადაც შეუძლია სიარული.

ბაგა-ბაღში მომუშავე ადამიანები, თუ ისინი ბავშვის ენობრივი უნარების განვითარებაზე ორიენტირებულები არიან და ხელს უწყობენ ეფექტურ კომუნიკაციას, ყოველთვის ცდილობენ დიალოგის მინიმუმ ხუთი რიგი შეინარჩუნონ[4], როოგორც ეს ზემოთაა მაგალითში მოცემული. კომუნიკაციის ეს სტილი აჩვენებს ბავშვს, რომ უფროსი მისით და მისი საქმიანობით დაინტერესებულია, რაც მის თვითშეფასების ზრდას უწყობს ხელს, ეს კი ბავშვს ეხმარება გამოიჩინოს მეტი ინიციატივა, ხელს უწყობს მეტ თემაზე ფიქრს, მეტ

[4] Elaine Weitzman and Janice Greenberg, ABC and Beyond; Hanen Center Publication, 2010

წარმოსახვისა და აზროვნების უნარებს. ურთიერთობის ამ სტილს, როგორც წესი, **გულისხმიერი** უფროსები იყენებენ. ამ როლში უფროსი *შეწყობილია* ბავშვის შესაძლებლობებთან, საჭიროებასა და ინტერესებთან. ბავშვებთან ურთიერთობის გულისხმიერი სტილი გულისხმობს, რომ უფროსი სითბოთი და ინტერესით პასუხობს ყოველი ბავშვის საჭიროებას, რაც წაახალისებს ბავშვებს აქტიურად იყვნენ ჩართულნი ინტერაქციაში მასთანაც და სხვა ბავშვებთანაც.

გულისხმიერი კომუნიკაციური სტილის მქონე ადამიანები, როგორც წესი, როდესაც ისინი ბავშვებს ელაპარაკებიან, არიან მათ სიმაღლეზე, ამყარებენ მათთან თვალით კონტაქტს, ყურადღებით უსმენენ და ხშირად უღიმიან.

ბავშვებთან მომუშავე ადამიანები ხშირად უშვებენ შეცდომებს და არ ელოდებიან ბავშვის რეაქციას, ცდილობენ სიჩუმის პერიოდის ამოვსებას. შეეცადეთ გულში დაითვალოთ 10-მდე, ვიდრე ელოდებით ბავშვის რეაქციას. იქნებ ბავშვს დრო ესაჭიროება რეაგირებისთვის. როდესაც აღმზრდელები აქტივობებს გეგმავენ და შემდეგ მთელი დღის განმავლობაში ბავშვებთან ერთად ახორციელებენ, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ამ დროს, ბავშვის კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების უნარებიც უნდა განავითარონ. წაახალისეთ ბავშვები ამგვარი შეკითხვებით: „რამე ხომ არ გჭირდება?“, „რა გინდა რომ მოგაწოდო?“, „როგორ ფიქრობ, ეს ფერი გამოგვადგება?“, „დღეს თავს როგორ გრძნობ?“ და ა.შ და ა.შ. ადრეულ ასაკში ბავშვებს უჭირთ თავიანთი აზრებისა და გრძნობების გადმოცემა. პრაქტიკოსმებმა ყოველთვის უნდა მოუსმინონ და რეაგირება მოახდინონ მათ მცდელობებზე.[5]

[5] წიგნიდან: კომუნიკაცია ადრეულ ასაკში - Janet Cooper BSC (hons), Reh.MRCSLT (2010)

რატომაა დირექტიულ სწავლებასა და გამუდმებით ტესტირების რეჟიმში ყოფნაზე უმჯობესი სასიამოვნო საკომუნიკაციო გარემოს შექმნა ენობრივი განვითარებისათვის?

ნინი: შეხედე, მზია (ნინიმ ყურადღება გააზიარა[6]).

მზია: ვა, ბუმბული იპოვე?! (მზია გულისხმიერია, პასუხობს ბავშვის ინტერესს და თან ნინის ამ საგნის სახელსაც ეუბნება).

ნინი: ბუნბუნი (მზიამ მარტივი, ნინის ენობრივი განვითარების შესაბამისი ინფორმაცია მისწოდა მისთვი საინტერესო საგნის შესახებ, შესაბამისად ნინი უფრო მეტად აკვირდება საგანს და ცდილობს სიტყვის იმიტაციას).

მზია: კი, ეს ბუმბულია, ჩიტის ბუმბული (მზიას პასუხი სიტყვის სწორ მოდელირებას[7] შეიცავდა და ასევე გარკვეულ ახალ ინფორმაციასაც).

ნინი: ჩიტი? გარეთ? (ახლა ნინი მეტ ინფორმაციას ითხოვს, რადგან მზიამ მის ინტერესს გულისხმიერად უპასუხა).

მზია: დიახ, ეს ბუმბული გარეთ რომ ჩიტი დაფრინავს იმისია.

---

[6] გაზიარებული ყურადღება კომუნიკაციის დამყარებისა და შესაბამისად ენობრივი განვითარების გადამწყვეტი საფუძველია.

[7] როდესაც ბავშვი სიტყვას არასწორად ამბობს, უფროსები როგორც წესი, მიდრეკილები არიან ბავშვს სიტყვა ასე გაუსწორონ: ბუნბუნი კი არა ბუმბული. ასეთ დროს, გარდა იმისა, რომ კომუნიკაცია უკვე სასიამოვნო აღარაა, ბავშვს სიტყვის არასწორი ფორმა 2-ჯერ ესმის (ერთხელ თავისი ნათქვამი და ერთხელ უფროსის გამეორებული და სწორი ფორმა მხოლოდ ერთხელ, რაც სწორი ფორმის დასწავლას ხელს არ უწყობს; ამ მაგალითში კი მზია არც სასიამოვნო საკომუნიკაციო გარემოს არღვევს და ბავშვს სიტყვვის სწორ ფორმასაც ორჯერ აწვდის ძალდაუტანებლად).

ენის დასწავლა, სამწუხაროდ, ყოველთვის ამგვარი ბუნებრივი რითმით არ მიმდინარეობს. ნინისა და მზიას შორის დიალოგის რითმი არ იქნებოდა ნინისთვის ენის დასწავლის ბუნებრივი, თუ მაგალითად, მზია ეცდებოდა ნინის ინტერესი ჩიტებისა და ბუმბულის თემაზე მისი ცოდნის შესამოწმებლად გამოეყენებინა ან მისთვის ბუმბულის ფერების შემადგენლობის სწავლება ეცადა. ასეთ შემთვევაში, ნინის მზიასთან დიალოგის ინტერესი დაეკარგებოდა და შესაბამისად ენობრივი განვითარების, ენის სწავლის შესაძლებლობაც დაიკარგებოდა. სოციალურად აქტიური ბავშვის ინტერესიც კი შეიძლება განელდეს მასწავლებლის მცდელობით ასწავლოს ან გამოცადოს ბავშვი, მაშინ როდესაც ბავშვს მხოლოდ ის უნდა, რომ სხვასთან საკუთარი ინტერესი გააზიაროს.[8]

რატომ არის თამაშში შეწყობა მნიშვნელოვანი, როდესაც ბავშვი ნაკლებს ლაპარაკობს და რას იწვევს ძალდატანება?

ლალი: დათო, შეხედე, მანქანა! აბა, თქვი - მანქანა! ნახე, დათო, მანქანა, მიდი, აბა თქვი, მანქანა!
ლაპარაკის ძალდატანება, დალაპარაკების სურვილს ამცირებს!

ბავშვს, რომელიც იშვიათად გამოთქვამს კომუნიკაციის სურვილს ჭირდება დრო იმისთვის, რომ შეგეჩვიოს და შენთან კავშირი დაამყაროს, ამის საუკეთესო საშუალება კი თამაშში შეწყობაა. თავიდან შეიძლება საერთოდ არ დაგელაპარაკოს. მაგრამ, თუ თამაშში მიყვები - თამაშობ მსგავსი სათამაშოთი, იმეორებ მის მოძრაობებს, (თავს არ ახვევ წესებს და არაფერს არ ასწავლი), ბაშვი შენთან

[8]გულისხმიერი უფროსის როლი სწორედ იმის მიგნებაშია, თუ როდის და როგორ არ დაკარგო ბავშვის ინტერესი და ამ ინტერესზე დააშენო ენა. გულისხმიერმა უფროსმა იცის, როდისაა სტრუქტურირებული სწავლებისა თუ ცოდნის შემოწმების დრო და როდისაა ბავშვის კომუნიკაციური და ენობრივი უნარების სტიმულირების ბუნებრივი გარემო.

ინტერაქციაში შემოსვლას აუცილებლად დაიწყებს შემოხედვით, ემოციის გაზიარებით და შემდეგ აქტივობის გაზიარებითაც; აქ უკვე დგება კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი მიზნის - სოციალური კონტაქტის დამყარების მომენტი. თუ შენ მომთმენი ხარ და ისევ ახერხებ, რომ ძალდატანებით ლაპარაკს თავი აარიდო, ცოტა ხანში ბავშვი აუცილებლად იტყვის (ან განიშნებს, თუ არავერბალურია) რამეს, რადგან მას აუცილებლად ექნება რაიმე შენთვის გასაზიარებელი, როდესაც ძალდატანება აღარ იგრძნობა დგება ჯადოსნური მომენტიც..... „ჩემი (მანქანა) უფრო დიდია“!

დაკვირვება, დალოდება, მოსმენა

ლალი მასწავლებელი შეეცადა ნიკოსთან ეთამაში, მაგრამ ვერ შეძლო, ის მხოლოდ კუბიკებს ურტყამდა ერთმანეთს და არაფერს არ ამბობდა. მაგრამ, ლალი რომ უფრო მშვიდად და კარგად *დაკვირვებოდა* დაინახავდა, რომ ნიკომ სამჯერ შემოხედა, როდესაც კუბიკებს ერთმანეთზე ურტყამდა, ეს უკვე კომუნიკაციაა!

დალოდება კომუნიკაციის და ენის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხერხის. როდესაც ელოდები, შენ ბავშვს აძლევ დროს გამოიჩინოს ინიციატივა და ჩაერთოს აქტივობაში:

ლაურა ძალიან ცდილობდა 4 წლის ძალიან მორცხვი მეგი აელაპარაკებინა ძერწვის აქტივობისას, ამიტომ მას ძალიან ბევრ შეკითხვებს უსვამდა: „რა, ფერია, ეს მეგი? რის გაკეთებას აპირებ ამისგან? მოგწონს ამით თამაში?“. მეგი ლაურას პასუხს არ სცემდა.

მნიშვნელოვანია ლაურა მეგის დაელოდოს და მისცეს დრო მასალის „გამოსაკვლევად“ და კომუნიკაციის ინიცირებისათვის. ამისათვის ლაურამ:

- უნდა შეწყვიტოს ლაპარაკი
- წინ გადმოიხაროს
- და ინტერესით დაელოდოს

როდესაც მეგი ინიციატივიას გამოავლენს (და აუცილებლად გამოავლენს, თუ მას ექნება საკმარისი დრო და საშუალება თავის ჭკუაზე ითამაშოს) ლაურა მის ინიციატივას უნდა მიყვეს და შემდეგ ისევ უნდა დაელოდოს მისი შემდეგი ინიციატივა რომ წაახალისოს.
დალოდება არა მხოლოდ ბავშვის ინიციატივას ახალისებს, არამედ მას ასევე აძლევს დროს პასუხის გასაცემად ან რაიმეს სათხოვნელად.

უფროსები, როგორც წესი, ერთ წამს აძლევებ ბავშვებს პასუხის გასაცემად, შემდეგ კი შეკითხვის გამეორებას, გადასხვაფერებას იწყებენ ან თავად სცემენ პასუხს შეკითხვაზე.1 წამი ძალიან, ძალიან ცოტა დროა. სანამ ბავშვი პასუხს გაგცემთ დაითვლეთ გულში 10-მდე, ნუ გააკეთებთ ნურაფერს, შეხედეთ ბავშვს ინტერესით, არ დაილაპარაკოთ, სანამ ბავშვი ინიციატივას არ გამოიჩენს ან სანამ არ მიგითითებთ, რა აინტერესებს (ცხადია, ყველა ბავშვის შემთხვევაში, გულში 10-მდე დათვლის საჭიროება არ დგას, მაგრამ საკმაოდ ბევრი ბავშვის შემთხვევაში ამ სტრატეგიას დიდი ძალა აქვს).

მოსმენა ნიშნავს იმაზე ყურადღების კარგად მიქცევას თუ რას ამბობს ბავშვი; მოსმენა მნიშვნელოვანია შესაბამისი პასუხის გასაცემად. როდესაც ბავშვს ყურადღებით უსმენ, შენ მას აგრძნობინებ, რომ მისი ნათქვამი შენთვის მნიშვნელოვანია და ეს მისთვის კარგი მიზეზია დიალოგის გასაგრძელებლად. აქტიური მოსმენა ნიშნავს, რომ ბავშვს არ ვაწყვეტინებთ და ჩვენ თვითონ არ ვვარაუდობთ, რისი თქმა უნდა ბავშვს, სანამ ის საუბარს დაასრულებს.

წაახალისეთ დიალოგი თამაშისას

როდესაც ბავშვთან ერთად თამაშობთ, დიალოგის თემა თავისთავად გაქვთ და თუ ამ დროს ბავშვი არ გრძნობს ძალდატანებას ახსნას რამე ან პასუხები გასცეს შეკითხვებს, თქვენ ორს შორის დიალოგის გამართვის მშვენირი ასპარეზი იხსნება.

ეს განსაკუთრებით კარგი სტრატეგიაა იმ ბავშვებისათვის, ვისაც ენობრივი განვითარების შეფერხება ან დარღვევა აქვთ, ან აქვთ ორალურ-მოტორული პრობლემები და მინიშნებების, ჟესტების თუ სურათების საშუალებით ამყარებენ კომუნიკაციას. დიალოგს ყოველთვის სიტყვები არ სჭირდება![9]

თამაშის დროს კომუნიკაციის დამყარება ენის განვითარების არაჩვეულებრივი საშუალებაა, ამიტომ შესთავაზეთ ბავშვს მისთვის საინტერესო იდეები და შემდეგ მიეცით მას აღმოჩენისა და შესწავლის დრო და მიყევით თამაშში. მაგალითად, მანქანის სიმაღლიდან დაშვება რაღაც დროით შეიძლება საინტერესი იყოს, მაგრამ, ახლა იქნება კარგია ამ დაღმართს ხიდიც ავუშენოთ და მანქანა ხიდის ქვეშაც გავატაროთ? ეს დიალოგის გაგრძელების კარგ საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ამ სიტუაციაში შესაძლებელია:

- კუბურებისგან კედელი ავაშენოთ, რომელსაც მანქანა დაეჯახება
- დახრის კუთხე შევცვალოთ და დავაკვირდეთ, სხვა კუთხიდან მანქანა უფრო სწრაფად წავა თუ უფრო ნელა
- გამოვიყენეოთ სხვადასხვა ფორმის საგნები (ბურთები, კუბურები... და ვახოთ, რა როგორ დაეშვება სიმაღლიდან, ან
- მოვაწყოთ მინი სცენა მინიატურული სათამაშო კაცუნებისა და მანქანების გამოყენებით.

მთავარია, რომ აქტივობების ინიცირებისას არ ვიყოთ ზედმეტად დომინანტურები და არ დავარღვიოთ ბავშვის ლიდერობა.

---

[9] მაგალითად არავერბალურ ბავშვთან ერთად თამაშობთ და აგორებთ მანქანას დაღმართიდან. თუ ბავშვი იცინის და/ან ტაშს უკრავს, ან სხვანაირად გამოხატავს მანქანის ჩამოსრიალებაზე რეაქციას, თუ ის შეკითხვაზე -„კიდე?“, თავის დაქნევით ან სხვაგვარი მინიშნებით პასუხობს, თუ მასწავლებლის შეკითვაზე, ჩვენებაზე, რომელიც მანქანის დაგორება ურჩევნია დიდი თუ პატარის, ცისფერის, თუ წითელის, მინიშნებით პასუხობს, ეს უკვე მშვენიერი დიალოგიცაა და ინტერქაციაც.

შეუსაბამეთ თქვენი შეკითხვები ბავშვის კომუნიკაციური უნარების და ენობრივი განვითარების დონეს

- დალი: გიო, რა მოხდა ექიმთან როცა იყავი?

გიო ამ შეკითხვას ვერ პასუხობს, რადგან ეს მისი განვითარების საფეხურისათვის შეუსაბამო, ზედმეტად ღია შეკითხვაა, ასე რომ დალიმ შეკითხვა უნდა შეცვალოს.

- დალი: რა დაგითვალიერა ექიმაა?
- გიო: პირი
- დალი: პირი გააღე და ჩაგხედა? კბილები დაგითვალიერა თუ ყელი?
- გიო: ყელი
- დალი: კიდე რამე შეგიმოწმა ექიმმა?

როდესაც დალიმ უფრო კონკრეტული, გიოს განვითარების საფეხურისათვის შესაბამისი შეკითხვების დასმა დაიწყო, დიალოგიც განვითარდა.

ბავშვის განვითარებიბისათვის შესაბამისი დიალოგის კიდევ ერთი მაგალითი:

- ლუკა: ეს ფერმაა
- ლილი: რა გავაკეთოთ ფერმაში? (ღია კითხვა)
- ლუკა: არ ვიცი (შეკითხვა ძალიან ფართო იყო)
- ლილი: კარგი, აი აქ არის გლეხი და აქ ძროხა. რა შეუძლია გაუკეთოს გლეხმა ძროხას? (კითხვა, სადაც ფოკუსი დაპარატავებულია).
- ლუკა: შეუძლია მოწველოს.
- ლილი: მართალია, შეუძლია რომ მოწველოს, რომ ჩვენ მერე რძის დალევა შევძლოთ

და ა.შ. და ა.შ.

ცხადია, შეკითვები უნდა შევუსაბამოთ იმ ბავშვებსაც, ვისაც მეტი კომუნიკაციური უნარები აქვთ და მეტი ლაპარაკი შეუძლიათ.

მაგალითად, როდესაც მასწავლებელი ხედავს, რომ ბავშვებმა დიდი ციხესიმაგრე ააშენეს მისი კომენტარი, უფრო ხშირად ასეთია ხოლმე: მაღალი კოშკი ააშენეთ? რაზეც ბავშვები მარტივად პასუხობენ: - დიახ. არადა, მასწავლებელს მათი განვითარებისა და შესაძლებლობების შესაბამისი შეკითხვა, რომ დაესვა, მაგალითად: - რა არაჩვეულებრივი ციხესიმაგრეა, რისთვის ააშენეთ? ბავშვები სავარაუდოდ უპასუხებდნენ: - ეს ციხესიმაგრე ჩვენი ჯარისკაცებისათვის ავაშენეთ, ისე, რომ ცუდიანებმა შემოჭრა ვერ შეძლონ... უდაოა, რომ ორ შეკითხვასა და ორ პასუხს შორის ენობრივი განვითარების სტიმულირების თვალსაზრისით ბევრი განსხვავებაა.

უფროსები ხშირად მიდრეკილები ვართ დავსვათ შეკითხვები, რომელზეც სწორი პასუხის წინასწარ ვიცით, მაგალითად, რა ქვია კაცს, ვინც წერილებს დაატარებს? ანდა რითი გავს ბურთი და ფორთოხალი ერთმანეთს? თუმცა შეკითხვები, რომელსაც „სწორი პასუხები არა აქვს“ ბავშვის აზროვნებისა და ენობრივი განვითარებისათვის შესაძლოა უფრო ხელშემწყობი იყოს, მაგალითად:

- მასწავლებელი: - ვაპირებ ეს ცარიელი ყუთი შევინახო, რადგან, ვფიქრობ, რომ რამეში აუცილებლად გამოგვადგება, როგორ ფიქრობთ, რაში გამოვიყენებთ?
- სხვადასხვა ბავშვების პასუხები: - ფანქრები შევინახოთ შიგნით; - ქვიშაში თამაშისას გამოგვადგება; - შეიძლება ამოვატრიალოთ და დოლი იქნება.

გარემო განმარტებისათვის

ზოგადად, დიალოგის ერთ-ერთი წესია, რომ მოლაპარაკე განმარტებას ითხოვს, როდესაც მისთვის მიწოდებული ინფორმაცია გაურკვეველია, თუმცა პატარა ბავშვები ხანდახან ამგვარ განმარტებას არ ითხოვენ ხოლმე, განსაკუთრებით ბავშვები, რომლებსაც ენობრივი განვითარების შეფერხება ან დარღვევა აღენიშნებათ. შეიძლება მათ ვერც გააცნობიერონ, რომ ვერ გაიგეს, რა ითქვა. მაშინაც კი, თუ გააცნობიერებენ, შესაძლოა არაფერი გააკეთონ განმარტების მოსათხოვად,

შედეგად, ისინი ნაკლებ სახარბიელო მდგომარეობაში არიან სწავლისა და ახლის გაგების თვალსაზრისით, მათ შორის ენის სწავლის თვალსაზრისითაც. მოგვიანებით, ბავშვები, რომლებიც არ ითხოვენ განმარტებას სკოლაში უფრო დაუინტერესებლები, იმედგაცრუებულები და პასიურები ხდებიან, ეს ხაზი შესაძლოა დიდხანს გაგრძლედეს თუ მათ დროულად არ ვასწავლით განმარტების მოთხოვნას.

განმარტების მოთხოვნის საუკეთესო გზაა მოდელირებაა მცირე ჯგუფური აქტივობებისას.

დათი 3 წლის ბიჭია ენობრივი განვითარების შეფერხებით. მას დიდად არ უყვარს კომუნიკაციაში შემოსვლა და არასდროს ითხოვს განმარტებას, როდესაც არ ესმის, რა ითქვა. ჭამის დროა და ის მაგიდასთან სამ სხვა ბავშვთან და მასწავლებელ თათიასთან ერთად ზის. ამ დროს ნანიკო მასწავლებელს თავის ორცხობილას აჩვენებს და რაღაცას ეუბნება, რაც არავის ესმის. თათია ყველა ბავშვს უყურებს და სახეზე გარკვევით აწერია, რომ ვერ გაიგო, რა უთხრეს. შემდეგ, ბავშვებს ხელების მოძრაობით ანიშნებს, რომ ვერ გაიგო, იხრება დათისკენ და გარკვევით ამბობს: - „დათი, ვერ გავიგე, რა მითხრა თიკამ, მოდი ერთად ვკითხოთ“, - რა? თიკა, რა თქვი?“ თიკა, ცოტა უფრო გასაგებად იმეორებს, თავის ნათქვამს. თათია: - „ა, შენი ორცხობილა გატყდა? ხედავ, დათი, თიკას ორცხობილა გატყდა“.

ინტერაქცია მცირე ჯგუფებში

ბავშვის განვითარების და ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულების მომუშავე მეცნიერები თანხმდებიან: უფროსის, კომუნიკაციური პარტნიორის როლი უაღრესად მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ ბავშვებმა თავი დაცულად, დაფასებულად, ღირსეულად, ჩართულად და მშვიდად იგრძნოს. ჩვენ ვიცით, რომ ბაგა-ბაღში ყოფნისას, თითოეული ბავშვისათვის კრიტიკული მნიშვნელობისაა ურთიერთობდეს მასწავლებელთანაც და სხვა ბავშვებთანაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ვიცით ისიც, რომ ამგვარი ურთიერთობები ყოველთვის არ ხდება, ან საკმარისად ხშირად არ ხდება. ამიტომ, რაც არ უნდა მრავალრიცხოვანი იყოს ბავშვების ჯგუფი,

უფროსებმა (აღმზრდელ-პედაგოგმა, აღმზრდელმა, ბაღში მომუშავე სხვა სპეციალისტებმა) დღე ისე უნდა დაგეგმონ, რომ ბავშვებს აუცილებლად მიეცეთ უფროსებთან, თუნდაც დღეში 2 წუთიანი პირისპირ კომუნიკაციის შესაძლებლობა და ასევე მცირე ჯგუფებში აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა, უფროსის მონაწილეობით ან მის გარეშე.

ნებისმიერ ჯგუფში შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ზოგიერთი ბავშვი ჯგუფის რეალური წევრი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯგუფში ფიზიკურად იმყოფებიან, ისინი არ მონაწილეობენ აქტივობებში და არ შედიან ინტერაქციაში თქვენთან თუ სხვა ბავშვებთან. სწორედ ესენი არიან ის ბავშვები, რომლებსაც თქვენი დახმარება ყველაზე მეტად ჭირდებათ. მათ თქვენ ჭირდებით იმისთვის, რომ მისცეთ თანაბარი შესაძლებლობა ისწავლონ კომუნიკაცია და სოციალიზაცია დანარჩენ ბავშვებთან ერთად.

ბავშვების გარიყულობის მიზეზი შეიძლება იყოს:

- მათი სოციალური და ენობრივი უნარები სხვა ბავშვეთან შედარებით ნაკლებ განვითარებულია, მათ აკლიათ თვითრწმენა ან შესაძლებლობა მიიპყრონ თქვენი ყურადღება უფრო თვითდარწმუნებული და სოციალური ბავშვების გარემოცვაში.
- მათ აქვთ შეზღუდული ვერბალური უნარები და შესაძლებელია თქვენ ვერ შეამჩნიეთ მათი მცდელობა შემოსულიყვნენ თქვენთან კომუნიკაციაში.
- შესაძლოა, მათ კარგად არ ესმით, რას ეუბნებიან ენობრივი შეფერხების გამო ან იმის გამო, რომ მათი მშობლიური ენა სხვაა.
- მოტორული შეფერხების გამო მათ სირთულეები აქვთ ფიზიკურად ჩაერთონ ამა თუ იმ აქტივობაში.

ბავშვების ინტერაქციაში ჩართვის წახალისება იწყება თქვენით. ამის საუკეთესო საშუალება თქვნ და ბავშვების მცირე ჯგუფია, საუკეთესოა 4 ბავშვიანი ჯგუფი. ამ რაოდენობის ჯგუფის ბავშვებში ყველაზე უკეთ შეძლებთ დააკვირდეთ ყველას და აქტივობა ისე წარმართოთ, რომ ყველა ჩართოთმ მათი შესაძლებლობების

ფარგლებში (მნიშვნელოვანია, აღმზრდელ-პედაგოგი დღეს ისე გეგმავდეს, რომ ამგვარ მცირეზომიან ჯგუფებთან 5-7 წუთიანი თამაშის შესაძლებლობა დღეში რამდენჯერმე ქონდეს). არსებობს ბევრი მცირე ჯგუფური აქტივობა, რომლის დროსაც თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა გაიაზროთ ბავშვის საჭიროება და დაეხმაროთ მას ინტერაქციაში. ეს აქტივობები შეიძლება იყოს: კითხვა მცირე ჯგუფში, ქვიშის მაგიდასთან თამაში, ხელების დაბანა, ძერწვა, სადილის მირთმევა და საუბარი, ნებისმიერი ტიპის თავისუფალი თამაში და სხვა.

როდესაც კონკრეტული ბავშვის დასახმარებლად მცირე ჯგუფურ აქტივობას ვგეგმავთ, მნიშვნელოვანია ბავშვების ჯგუფი ჭკვიანურად შევარჩიოთ. დაფიქრდით თქვენს ჯგუფში, ვის რა კომუნიკაციური და სოციალური შესაძლებლობები აქვთ. თუ ბავშვს აქვს ენობრივი განვითარების შეფერხება ან ჩამორჩენა, ან არის ძალიან ჩაკეტილი და პასიური კომუნიკაციაში, მისთვის რთული იქნება იყოს ძალიან სოციალური და კომუნიკაბელური ბავშვების ჯგუფში. მეორე მხრივ, მისთვის არც ისეთ ჯგუფში ყოფნა იქნება სასარგებლო, სადაც ბავშვები ძირითადად კომუნიკაციის პასიურ სტილს იყენებენ. კარგი მცირე ჯგუფი, როგორც წესი, სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციური სტილის ბავშვებისგან შედგება ხოლმე.

ნაირა მასწავლებლის მიზანია აქტივობებში ჩართოს მაკა, 3.5 წლის გოგონა ენობრივი განვითარების პრობლემით. მაკა ჩაკეტილი და მორცხვი გოგოა და იშვიათად იჩენს ინიციატივას შევიდეს ინტერაქციაში მასწავლებელთან ან სხვა ბავშვებთან. როდესაც ცდილობს, მისი მცდელობა - ხშირად შეუმჩნეველი რჩება ხმაურიან ჯგუფში.

ნაირა მასწავლებელი ფიქრობს, რო კარგი იქნება მაკას დღეში 5 წუთი მაინც ეთამაშოს ხოლმე სხვა ბავშვების ჩართულობით. მან გადაწყვიტა ამ ჯგუფში ჩართოს თამუნა. თამუნა ძალიან აქტიური კომუნიკატორი არ არის, მაგრამ, კაგად შედის ინტერაქციაში, როდესაც კარგადაა აქტივობაში ჩართული. თამუნა უკვე იყენებს 3-4 სიტყვიან წინადადებებს და ის კარგი მოდელი იქნება მაკასთვის. რადგან თამუნა სტილი არ არის იყოს დომინანტური დიალოგისას, მაკასაც მიეცემა

ხოლმე შანში ჩაერთოს ინტერაქციაში. გიოც თავისი ასაკის შესაბამისად მეტყველებს, ძალიან სოციალური ბავშვია და კარგი იქნება მისი ამ ჯგუფში ყოფნაც. ნაირა მასწავლებელი ფიქრობს, რომ ამჯერად დანიელს ჯგუფში არ ჩართავს, რადგან, მას, როგორც წესი თავისი დღის წესრიგი აქვს ხოლმე და მას ბევრი დრო დაეხარჯება დანიელის მართვაში. ლევანის ჩართვა არ იქნება ცუდი იდეა, ისიც მეტყველებს 2-3 სიტყვიანი წინადადებებით, საკმაოდ სოციალურია და არ უყვარს დომინირება.

მცირე ჯგუფის მთავარი მიზანია საშუალება მივცეთ ყველა ბავშვს ჩაერთოს, მათ შორის მათ, ვისთვისაც ეს უფრო რთულია. ბავშვები, რომლებსაც აკლიათ თვითრწმენა ან ჩარმორჩებიან განვითარებაში, უფრო უკეთ მონაწილეობენ ისეთ აქტივობებში, რომლებსაც არა აქვს შედეგი, რომლის შედეგადაც რაიმე სპეციფიური არ უნდა შეიქმნას. მაგალითად, თუ 4 ბავშვს მივცემთ, მშრალ წებოს, ფერად ქაღალდებს და ხელოვნური scarps, და არ მივცემთ სპეციფიურ ინსტრუქციას, ისინი შექმნიან 4 განსხვავებულ ქმნილებას. ამ აქტივობის ღირებულება შექმნის *პროცესშია* და არა მის შედეგში. ცხადია, ბავშვებისათვის აქტივობების შეთავაზებისას, თუ ეს საჭიროა ადაპტირება და დახმარებაც არ უნდა დაგვავიწყდეს. მაგალითად, თუ ამ აქტივობისას გიო და ლიზი დამოუკიდებლად იყენებენ წებოსა და მაკრატელს, აღმზრდელი, მანოს, რომელსაც ცერებრული დამბლა აქვს ადაპტირებულ მაკრატელს სტავაზობს და ფურცლის დაჭერაშიც ეხმარება. სანდრო, კი იმითაა დაკავებული, რომ ფურცლებს ხევს და ისე აგროვებს ერთად. ამგვარი აქტივობის განხორციელებისას უნდა გვახსოვდეს, რომ აქტივობა ყველა ბავშვისთვის საინტერესო და მათი შესაძლებლობების შესაბამისად ინდივიდუალურად უნდა იყოს ადაპტირებული; უფროსი ბავშვების დონეზე (მათთან ერთად მაგიდასთან, ან იატაკზე, აქტივობას გააჩნია) უნდა იყოს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბავშვებს მივცეთ საკმარისი მასალა, მაგრამ, არ მივცეთ ზედმეტად მეტი, რათა ბავშვებმა მთელი დრო მასალების კვლევას არ დაუთმონ და *ინტერაქციისთვის* ნაკლები დრო არ დარჩეთ. მცირე ჯგუფთან ყოფნისას დააკვირდით არის თუ არა ყველა ბავშვი ჩართული *ყურადღებით,* ავლენს თუ არა ინტერესს აქტივობისადმი და აკვირდება თუ არა რას აკეთებთ

თქვენ და სხვა ბავშვები? *მონაწილეობს* თუ არა ბავშვი აქტივობაში? არის თუ არა ბავშვი ინტერაქციაში თქვენთან და ჯგუფის სხვა წევრებთან?

აი, მაგალითად, ნაირა მასწავლებელმა, რომელმაც აქტივობისათვის მაკა, თამუნა, გიო და ლევანი შეარჩია და მათთა ერთად მაღაზიობანას თამაშობს, თან ფიქრობს, რომ თამუნა აქტივობაში კი მონაწილეობს, მაგრამ, მეტი წახალისება ჭირდება ინტერაქციისათვის; გიოს ჩემთან უნდა ინტერაქცია, აი ლევანიკოსთვის კი სხვა ბავშვებთან ინტერაქციას ძალიან საინტერესოა და ნამდვილად ცდილობს მაკაც ჩართოს.

ქვემოთ გთავაზობთ სქემას [10], რომელიც უფროსს სთავაზობს სტრატეგიებს ბავშვების ჩასართავად მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად.

თუ ბავშვი	რა არის მიზანი	როგორ ვიმოქმედო
არ იჩენს დაინტერესებას აქტივობის მიმართ; არ მონაწილეობს; არ შედის კომუნიკაციაში სხვებთან.	დავეხმაროთ ბავშვს ყურადღების კონცენტრაციაში და იმის გააზრებაში, თუ რას სთავაზობს ეს აქტივობა მას.	პირველ რიგში, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ბავშვს საგანსა და ადამიანს შორის *ყურადღების გაზიარება* შეუძლია. გაზიარებული ყურადღება კომუნიკაციის დამყარების საფუძველია. თუ ფიქრობთ, რომ ბავშვს ყურადღების გაზიარება უჭირს, მაშინ უმჯობესია ჯერ მას ინდივიდუალურად

[10] ადაპტირებულია ჰანენის პროგრამის მიხედვით: Elaine Weitzman and Janice Greenberg, Learning Language and Loving it; Hanen Center Publication, 2002 გვ 163.

		შევეწყოთ და თქვენსა და საგანს შორის ყურადღების გაზიარებას შევაჩვიოთ. ამის საუკეთესო გზა მის ინტერესებთან შეწყობაა. ამისათვის აუცილებლია ფიზიკურად დავიდეთ მის დონეზე, თუ იატაკზე ზის გვერდით მივუჯდეთ, თუ წამოწოლილია გვერდით წამოვწვეთ. მაგალითად, ბავშვი დაკავებულია სათამაშოს კაკუნით, თქვენს შეგიძლიათ მის გევრდით დაჯდეთ და მსგავსი სათამაშოს კაკუნი დაიწყოთ, შეეცადოთ ბავშვის ყურადღება მისი მზერით მიიპყროთ, მიმართოთ სახელით, ელაპარაკოთ ძალიან მარტივად და ცოტა თეატრალურად, დაელოდოთ ბავშვის რეაქციას და მერე იქონიოთ ადეკვატური რეაქცია მის რეაქციაზე. თუ ბავშვს ზოგადად ყურადღების გაზიარება

		შეუძლია, მაგრამ მრავალფეროვანი აქტივობების გააზრება და მათში ჩართვა უჭირს, დარწმუნდით, რომ პირველ ეტაპზე ისეთ აქტივობებს შეურჩევთ, რაც მისთვის საინტერესო და მისი შესაძლებლობებისთვის შესაბამისია. მიმართეთ სახელით, იყავით მასთან პირის-პირ, გააკეთეთ რაიმე მისთვის საინტერესო მასალით და დაელოდეთ რეაქციას.
შეუძლია ატივობა გაიაზროს, მაგრამ არ არის ჩართული და სხვებთან არ შედის კომუნიკაციაში	ბავშვის წახალისება გამოიყენოს მასალები და შევიდეს კომუნიკაციაში სხვებთან.	დაპატიჟე შემოგიერთდეს მცირე ჯგუფურ აქტივობაში, მიმართე სახელით, გამოუყავი ადგილი და მიაწოდე მასალები, მოთავსდი ისე, რომ იყოს მასთან პირისპირ. დაელოდე ინტერესით, რას გააკეთებს. ხანდახან ბავშვებს უბრალოდ ჭირდებათ დრო, იმისათვის, რომ

		მოდუნდნენ და აქტივობაში ჩაერთონ. შესთავაზეთ რაიმე როლი თამაშში და მიანიშნეთ, რა შეიძლება გააკეთოს მასალით; აჩვენეთ, თუ საჭიროა. გაიხსნეთ და უთხარით რაიმე ისეთის შესახებ, რაც უყვარს და ადრე გაუკეთებია. გაამარტივეთ მეტყველება.
დაინტერესებულია აქტივობით, ჩართულია მასში, მაგრამ არ შედის კომუნიკაციაში სხვებთან.	დავეხმაროთ ბავშვს დაიწყოს კომუნიკაცია თქვენთან და სხვებთან.	დაჯექით მასთან ახლოს და დააკვირდით, რას აკეთებს. თქვენც გააკეთეთ მსგავი რამ თქვენი მასალების გამოყენებით და მიყევით ბავშვს. დააკვირდით კომუნიკაციის ნებისმიერ მცირე მინიშნებასაც კი და მაშინვე იქონიეთ რეაქცია, იქნება ეს პატარა ჟესტი, უეცარი გამოხედვა თუ სუსტი ხმა. გააკეთეთ ისეთი კომენტარები და დასვით ისეთი შეკითვები, რომ კომუნიკაცია გაგრძელდეს. (მისი შემოხედვა, თქვენი

		გაღიმენა და კომენტარი - კომუნიკაციის პირველი საფეხურია).
დაინტერესებულია, ჩართულია, ინტერაქტიულია.	დაეხმარეთ ბავშვს კიდევ უფრო მეტად განივითაროს კომუნიკაციური შესაძლებლობები; დააკვირდით, რომელიმე ბავშვი ხომ არ ითვისებს მთელ თქვენს ყურადღებას.	გამოიყენეთ ისეთი შეკითხვები და კომენტარები, რაც კომუნიკაციური საფეხურების გახანგრძლივების საშუალებას მოგცემთ. (იხ.: გვ. 4, ლუკას და ნაზის დიალოგი). თუ, რომელიმე ბავშვი მუდმივად ცდილობს მთელი ყურადღება მისკენ იყოს მიმართული გამოიყენეთ ჟესტი (აწეული ხელი, ან რბილად შეეხეთ მხარზე) ან უთხარით -„ახლა, მაკას ველაპარაკები, თუ შეიძლება მოიცადე, ვიდრე დავასრულებთ“.

ხანდახან საჭირო არ არის უფროსი თავიდან ბოლომდე მონაწილეობდეს რაიმე მცირე ჯგუფურ აქტივობაში, პატარა, მაგრამ ეფექტური დახმარებაც ძალიან მნიშვნელოვანია გარიყული ბავშვის ჩასართავად, ასეთ დროს თქვენი ამოცანა უნდა იყოს ბავშვს მისცეთ როლი, მაგალითად:

დრამატულ სივრცეში თამაშობთ მაღაზიობანას სამ ბავშვთან ერთად და დაინახეთ ანა, რომელიც ხშირად მარტო თამაშობს ხოლმე, ამჯერად ის „ჩაის ასმევს“ თავის თოჯინას. ამ დროს იწყებთ როლის გათამაშებას: - „ჩემ მეგობარ ანას ვხედავ ქუჩის მეორე მხარეს“ ეუბნებით ბავშვებს, - „გამარჯობა, ანა, ცოტა გვწყურია, რაიმე სასმელს ხომ არ მოგვყიდი?“ (მნიშვნელოვანია, თქვენი როლის თამაში გააგრძელოთ, რათა ბავშვებმა „მასწავლებლად“ არ დაგინახონ, რომელიც მათ სხვა ბავშვის ჩართვას აიძულებს). ანას სახე უნათდება და ჭიქები თქვენსკენ მოაქვს. - „რა ღირს, ეს ჩაი“ - ეკითხები ანას. -„ხუთი ლარი“ - პასუხობს ანა. -„ისე მინდა ჩაი, ნებისმიერ ფასს გადავიხდი“ - ამბობთ თქვენ - „კიდე ვინმეს ხომ არ გინდათ ჩაი, ანა ქალაქში საუკეთესო ჩაის ამზადებს“. დანარჩენი ბავშვები თქვენს მაგალითს ბაძავენ და ანასგან „ჩაის ყუდულობენ“. ამის შემდეგ, ცოტა ხანი კიდევ აგრძელებ როლში ყოფნას და როცა ხედავთ, რომ ჯგუფი თამაშში შეეწყო, ბავშვებს ტოვებთ: „ახლა ავტობუსს უნდა მივუსწრო, დეიდაჩემის სანახავად მივდივარ, მადლობა ამდენი კარგი რამე რომ მაყიდინეთ და ასეთი გემრიელი ჩაი დამალევინეთ“.

უფროსებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ იმისათვის, რათა სოციალურად იზოლირებული ბავშვები აქტივობებში ჩაერთონ. მათ შეუძლიათ შექმნან კარგად განსაზღვრული სათამაშო გარემო, ინტერაქციის მასტიმულირებელი აქტივობებით. მათ შეუძლიათ შექმნან სიტუაციები, სადაც სოცილურად იზოლირებულ ბავშვებს საშუალება მიეცემათ შეურთდნენ სოცილაურად უფრი აქტიურ თანატოლებს. მათ ასევე შეუძლიათ შექმნან მცირე ჯგუფები, სადაც სოციალურად იზოლირებულ ბავშვებს როლს მისცემენ თამაშისას, ისე რომ მათ აქტივობაში ჩართვა შეძლონ. მასწავლებელი ასევე შეიძლება დარჩეს იმ ჯგუფთან უფრო ხანგრძლივად სათამაშოდ, სადაც ბავშვს ჩართვა და კომუნიკაციის შენარჩუნება უჭირს. ამ შემთხვევაში მიზანი ბავშვისათვის სოციალური უნარების სწავლებაა, რომელსაც ის მომავალში დამოუკიდებლად გამოიყენებს და რაც მთავარია, მასწავლებლებს შეუძლიათ შეეცადონ ხელი შეუწყონ ბავშვების პოზიტიურ დამოკიდებულებას მათი პასიური და ნაკლებად მოლაპარაკე თანატოლების მიმართ, მათი შესაძლებლობების წარმოჩენით.

ამბების მოყოლის წახალისება

თუ პატარა ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება გაქვთ, ალბათ, უკვე მოგეცათ საშუალება მათგან ძალიან ბევრი საოცარი და არაჩვეულებრივი ამბავი მოგესმინათ. ცხადია, ამბების მოყოლა ენობრივი განვითარების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. უკეთ რომ გაიაზროთ, რამდენად ხართ ამბების თხრობის წამახალისებელი, დაუსვით თქვენს თავს შემდეგი შეკითხვები:

აქვე თუ არა, ჩემს ჯგუფში ყველა ბავშვს საშუალება მიამბოს ამბები თავისუფლად, არაფორმალურ გარემოში?	წაახალისეთ ამბების მოყოლა ნაკლებად სტრუქტურირებულ სიტუაციებში (თავისუფალი თამაშისას, სენსორული აქტივობებისას, ეზოში თამაშისას და ჭამის დროს). წაახალისეთ ამბების მოყოლა მცირე ჯგუფებში ერთი-ერთზე ყოფნისას და დიდი ჯგუფური აქტივობების დროს. დილის და საღამოს წრე და სხვა დიდი ჯგუფურ აქტივობები არა არის შესაფერისი დრო ამბების მოსაყოლად, ბავშვებს ეს მალე მობერზდებათ და აუდიტორიას დაკარგავთ.
ვახერხებ თუ არა, რომ უფრო ჩუმმა, ნაკლებ ვერბალურმა ბავშვებმაც მომიყვნენ ამბები?	თუ, მცირე ჯგუფში ყოფნისას ერთმა ბავშვმა თავისი ამბავი გაგიზიარათ, კითხეთ უფრო წყნარ და ნაკლებად მოლაპარაკე ბავშვს გადახდენია თუ არა მას რაიმე მსგავსი ან -„რა მოხდა, როდესაც...“ წაახალისეთ ბავშვები დაიწყონ ამბის მოყოლა ამგვარი ფრაზებით: -

	„დარწმუნებული ვარ, რაღაც საინტერესო გააკეთე ამ შაბათ-კვირას“...
ვუსმენ თუ არა ბავშვებს ყურადღებით და ვაძლევ თუ არა მათ საშუალებას დაასრულონ თავისი ამბები?	ყურადღებით მოუსმინეთ ბავშვების მონათხრობს. თქვენი სახის გამომეტყველება თქვენს ინტერესს უნდა ადასტურებდეს და ბავშვს ამბის გაგრძელებისკენ უნდა უბიძგებდეს. გააკეთეთ ბავშვის მონათხრობთან დაკავშირებული კომენტარები. უთხარით მსგვასი ფრაზები: -„ როგორ შეგეშინდებოდა სუპერმარკეტში თუ დაიკარგე!“. არ გადაუხვიოთ თემიდან. არ ჩაერიოთ და არ შეცვალო თემა. უფროსები ვერ იტანენ, როცა აწყვეტინებენ, ასევე ვერ იტანენ ამას ბავშვებიც! არ აქციოთ ბავშვის მონათხრობი „გაკვეთილად“ ან „გამოცდად“. თუ ბავშვი თავისი ბებოს კატის შესახებ გიყვებათ, არ დაუსვათ მსგავის შეკითხვები „როგორ აკეთებს კატა?“ ან არ აქციოთ ეს ამბავი კატების შესახებ ბავშვებისათვის სასწავლო ინფორმაციის მიწოდების თემად: - „კატა შინაური ცხოველია..“ და ა.შ.
ვაძლევ თუ არა ბავშვებს ამბების მოყოლის მაგალითს ჩემს შესახებ ამბების მოყოლით?	არ დაგავიწყდეს საკუთარი ამბების მოყოლა!

დილის წრე, როგორც ენობრივი განვითარების წახალისების საშუალება

ზოგიერთი აღმზრდელი თვლის, რომ დილის წრეზე ბაშვები ნაკლებად ყურადღებიანი და ჩართულები არიან, ზოგიერთი კი პირიქით მიიჩნევს, რომ დილის წრე ბავშვების სწავლების კარგი საშუალებაა. საინტერესოდ ორგანიზებული წრეები ბავშვებს ბევრ ახალსაც ასწავლის ენისა და წარმოსახვის განვიარების კარგი საშუალებაცაა:

დილის წრეზე ამგვარად დასმული შეკითხვები ბავშვების ჩართულობის გარანტიას იძლევა და ენის განვითარებასაც უწყობს ხელს. თემა ცხოველები - სპილოს სურათის ჩვენებისას:

- „ალბათ, როგორი უცნაური იქნებოდა თავი სპილოსავით ძლიერად და დიდად რომ გეგრძნო. როგორ ფიქრობთ გინდათ რომ იყოთ ასეთი დიდები და მძიმეები?“
- „მე, მინდა, რადგან დედამიწაზე ყველაზე ძლიერი ცხოველი ვიქნებოდი“
- „მე არ მომინდებოდა, ისეთი მძიმე ვიქნებოდი, რომ სწრაფად ვერ ვივლიდი“
- „მე მივწვდებოდი ხის მაღალ ფოთლებს ჩემი ხორთუმით“ და ა.შ. და ა.შ.

თუ თქვენს ჯგუფში ძალიან ბევრი ბავშვია, შეეცადეთ გაყოთ ჯგუფი და წრე დილის მანძილზე ორჯერ გააკეთოთ ორ სხვადასხვა ჯგუფთან ან შეუთანხმდეთთ აღმზრდელს და ოთხის ერთ კუთხეში აღმზრდელი წარუძღვეს წრეს, მეორეში კი აღმზრდელ-პედაგოგი.

წრის ჩატარება უმჯობესია იმ დროს, როდესაც ბავშვები დაღლილები და მშივრები არ არიან. ბავშვები თავს უფრო კომფორტულად გრძნობენ, როდესაც ხალიჩაზე სხედან და მათ ყურადღებას ბევრი სათამაშო არ იპყრობს.

ნუ დაელოდებით ყველა ბავშვის შეგროვებას, სანამ ყველა შემოგიერთდებათ დაიწყეთ რაიმე შესავალი აქტივობა სიმღერა ან თითებით თამაში, ანდა გაათამაშეთ, რომ თქვენი ჯგუფი კოსმოსური ხომალდია და კოსმოსში გასაფრენად და

საინტერესო ადგილების სანახავად ემზადება. ასე უკვე წრეში მყოფი ბავშვებიც არ მოიწყენენ და დაგვიანებულებიც აჩქარდებიან ხომალდმა რომ არ გაასწროს.

გახსოვდეთ, რომ თქვენი განწყობა და სტილი გადამდებია, რასაც არ უნდა აკეთებდე, თამაშის წესს ხსნიდე, რამეს აღწერდე, მღეროდე თუ ახალ თემაზე საუბროდე იყავით ხალისიანი და აქტიური, თქვენი ინტერესი და ჩართულობა ბავშვებზეც აისახება.

ხანდახან ყველაფერი გეგმის მიხედვით არ მიდის. ბავშვები შესაძლოა არ დაინტერესდნენ იმ თემით, რომელიც შეარჩიეთ ან შესაძლოა ამ თემის სხვა ასპექტი აინტერესებდესთ. შესაძლოა მათ იმ აქტივობით დაკავება უფრო დიდხანს მოუნდეთ, ვიდრე გათვლილი გქონდათ. იყავით მოქნილი და მზად შეცვალოთ გეგმები, რათა წაახალისო მათი ცნობისმოყვარეობა და შეინარჩუნოთ მათი ინტერესი.

გახსოვდეთ უმჯობესია აქტივობა შეწყვიტო მანამ, სანამ ის მოსაწყენი გახდება. არ არის აუცილებელი, თუ თემა ვერ ამოწურეთ გადააჭარბო დროს, მაშინაც კი რამდენიმე ბავშვი ისევ თუ გისმენთ. შეწყვიტეთ აქტივობა მანამდე, სანამ უმრავლესობა ყურადღებიანი, ჩართული და სტიმულირებულია.

წრის დროს ყოველთვის გამოიყენეთ დიდი, თვალშისაცემი და ბავშვების განვითარების დონისათვის შესაბამისი ვიზუალური მინიშნებები. თუ მინიშნებები საკმარისად დიდი არ არის ბაშვები ერთმანეთის ხელის კვრას იწყებენ მინიშნების დასანახად.

წიგნთან ურთიერთობასა და ენობრივ განვითარებას შორის ძლიერი კავშირია

რაც უფრო ადრე დაიწყებთ ბავშვებისათვის წიგნების წაკითხვას და ამბების მოყოლას, მით უფრო მალე გახდენა კითხვა ბავშვის ცხოვრების მნიშვნელოვანი და სასიამოვნო ნაწილი. კითხვის უნარების გასავითარებლად, ბავშვისათვის ხმამაღლა წაკითხვა ერთერთი საუკეთესო საშუალებაა. როდესაც სკოლამდელი ასაკის ბავშვს ვუკითხავთ, უნდა გვახსოვდეს: დაჯექით ერთმანეთთან ახლოს, სასურველია, ერთ

სიმაღლეზე და ისე, რომ ერთმანეთს უყურებდეთ და ერთმანეთის სახის გამომეტყველებების გაცვლა შეგეძლოთ. წიგნის კითხვის და ამბების მოყოლის დრო, დიალოგის დროცაა და არა მხოლოდ ჯდომისა და მოსმენის. ამიტომ თანამედროვე მკვლევარები გვირჩევენ[11] წიგნის კითხვის პროცესს შევხედოთ არა როგორც ბავშვისთვის კითხვას, არამედ ბავშთან ერთად კითხვას. ამ პროცესში ბავშვი აქტიურად უნდა იყოს ჩართული. უფროსებისთვის ხანდახან „გეგმის შესრულებაა“ მნიშვნელოვანი, არადა ბავშვი სიამოვნებას წიგნთან და თქვენთან ურთიერთობის პროცესიდან იღებს და არა წაკითხული წიგნების რაოდენობიდან.

წიგნების მეშვეობით ბავშვები საკუთარ სამყაროს ახალ სამყაროს უკავშირებენ. წიგნის ამბებსა და ილუსტრაციებს ისინი გადაყავთ სხვა გარემოსა და სიტუაციებში, რითაც ისინი იფართოებენ ცოდნას, გამოცდილებას და წარმოსახვის უნარებს. ამ უაღრესად მომაჯადოებელ პროცესში, ბავშვი შესაძლოა ამბის ერთი დეტალით განსაკუთრებით დაინტერესდეს ან ერთიდაიგივე ამბის კიდევ და კიდევ მოსმენა მოუნდეს. წიგნის კითხვის პროცესი მათი შინაგანი სამყაროს გაფართოების შესაძლებლობა უნდა იყოს და არა „დაჯექი და მომისმინე“ აქტი. შესაძლებელია ბავშვმა ერთ კონკრეტულ გვერდზე უფრო დიდხანს მოინდომოს შეყოვნება, კონკრეტული სურათის თვალიერება და მაინცდამაინც ერთ ფაქტზე კითხვების დასმა. ნუ უბიძგებთ ამ დროს ბავშვს წავიდეს წინ, რადგან თქვენ ფიქრობთ, რომ უფრო მნიშვნელოვანი წიგნის ბოლომდე ჩაკითხვაა, პირიქით გამოიყენეთ მისი ინტერესი საინტერესო დიალოგის გასამართად და მისი ცოდნისა და აზროვნების გასაფართოებლად.

[11] Elaine Weitzman and Janice Greenberg, ABC and Beyond; Hanen Center Publication, 2010

როგორც ელაინ ვაიცმანი და ჯანის გრინბერგი გვირჩევენ[12], წიგნის კითხვისას თავი თანამედროვე ინტერაქციული თეატრის მსახიობად უნდა იგრძნოთ - „პუბლიკასთან“ მაქსიმალურად საინტერესო ურთიერთობა უნდა დაამყაროთ; თუ ბავშვის ინეტერესების მიყოლა ამას მოითხოვს, შეგიძლიათ გამოტოვოთ გვერდები ან არ დაასრულოთ კითხვა, ანდა ერთიდაიგივე წიგნის რამდენჯერმე წაკითხვა მოგიწიოთ - მთავარია შედგეს ინტერაქცია! ყველა საბავშვო წიგნი კარგად დაწერილი არ არის. თუ საჭიროა, კითხვისას გაამარტივეთ და შეამოკლეთ წინადადებები, გამოყავით, ხმამაღლა წარმოთქვით საკვანძო სიტყვები; კითხვისას, თხრობისას ცვალეთ ინტონაცია, ისაუბრეთ ნელა და მიეცით ბავშვებს საშუალება ჩაერთონ, მიუთითეთ ბავშვებს კონკრეტული სიტყვების მნიშვნელობაზე ნახატების ჩვენებით და საუბრით.

წიგნის კითხვისას ბავშვები მეტი ინტერესით ჩაერთვებიან თუ ამ პროცესში მათ ემოციებსა და გამოცდილებასაც მიაქცევთ ყურადღებას, მაგალითად: კითხულობთ -„გოგონამ დედას უთხრა, - მაინც ვერ დამიჭერ- და გაიქცა“. ამ დროს კარგია, თუ შეჩერდებით, გაოცებულ სახეს მიიღებთ და იტყვით: „ვაიმე, ახლა ნეტა, რა მოხდება? მგონი, ცუდი ამბები დატრიალდება, რას იზამდა შენი დედიკო მისგან რომ გაქცეულიყავი?“.

თავისთავად ცხადია, წიგნის კითხვის სასიამოვნო პროცესი ბავშვების გამოცდის ასპარეზადაც არ უნდა იქცეს, ზემოთ მოყვანილ „სპილოების მაგალითში“ მასწავლებელს ბავშვებისთვის იმის ნაცვლად თუ როგორ იგრძნობდნენ თავს სპილოს ზომისა და წონის რომ ყოფილიყვნენ, რომ ეკითხა, რა ფერისაა სპილო?

---

[12] Elaine Weitzman and Janice Greenberg, Learning Language and Loving It; Hanen Center Publication, 2002. გვ. 336

რამდენიმე ბავშვი წამოიძახებდა „ნაცრისფერი“, ინტერაქცია ამით დასრულდებოდა და მთელი შემოქმედებითი, სააზროვნო პროცესი დაიკარგებოდა.

გამომდინარე იქიდან, რომ წიგნთან ურთიერთობასა და ენობრივ განვითარებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, უაღრესი მნიშვნელობის მქონეა წავუკითხოთ იმ ბავშვებს, ვისაც ენობრივი განვითარების სირთულეები აქვს. თუ საინტერესოდ მივაწოდებთ, წიგნით ყველა ბავშვი ინტერესდება. წიგნებს ერთი უპირატესობა აქვს დიალოგთან შედარებით - დიალოგისგან განსხვავებით, ენა და სიტყვები წიგნში „არ ქრება“, ისინი ყოველთვის უკან ბრუნდება, როდესაც წიგნს თავიდან ვკითხულობთ [13] . აქედან გამომდინარე, წიგნის კითხვა არაჩვეულებრივი კონტექსტია, რომლის ფარგლებშიც ბავშვებს თავისი ენობრივი შესაძლებლობების განვითარება შეუძლიათ. როდესაც ბავშვებს წიგნში მოყოლილი ამბები კიდევ და კიდევ ესმით, ისინი მეტს და მეტს იგებენ წიგნის შესახებ და წიგნის ენა მათთვის უფრო და უფრო ახლობელი ხდება. საყვარელი წიგნი დროთა განმავლობაში ხდება იმდენად ნაცნობი, რომ ბავშვი მას თავად „კითხულობს“.

როდესაც ძალიან პატარა ბავშვებს ან უფრო მოზრდილ ბავშვებს ვუკითხავთ, რომელთა ენობრივი განვითარებაც ჯერ პრე-ვერბალურ დონეზეა, მნიშვნელოვანია ვიყოთ მათთან პირისპირ, მათ სიმაღლეზე და შევარჩიოთ წიგნები დიდი, ფერადი და ნათელი ილუსტრაციებით; სასურველია, სენსორული შეგრძნებების შესაძლებობებითაც. წიგნის კითხვის დროსაც არ დაგავიწყდეთ დაკვირვების, დალოდების და მოსმენის სტრატეგია. დააკვირდით, რა მოეწონება ბავშვს და დაელოდეთ მის რეაქციებს, მოუსმინეთ მათ კომუნიკაციურ მინიშნებებს და გქონდეთ შესაბამისი რეაქცია - მიყევით ბავშვის ინტერესს: დაასახელეთ, ახსენით, განავრცეთ. ამ ასაკში მოკლე, ცხადი წინადადებები ბავშვისთვის გასაგებს ხდის, რა ხდება წიგნში. ასევე მნიშვნელოვანი სტრატეგიაა წიგნში აღწერილის პანტომიმური განსახიერებაც (ბავშვმა დაიძინა, დედა ტელეფონზე ლაპარაკობს, ძაღლი ყეფს და

[13] იქვე. გვ.338.

ა.შ) ასევე სასარგებლოა წიგნში აღწერილი ამბის, მაგალითად, „დედა ტელეფონზე ლაპარაკობს“ რეალურ საგანთან დაკავშირება, ყურმილის აღება და ტელეფონით „დარეკვა“ და ა.შ.

როდესაც უფრო მოზრდილ ბავშვებს უკითხავთ, რომლებიც უკვე იყენებენ 3-4 სიტყვიან წინადადებებს, იყავი მათი მოდელი და წაახალისეთ გამოიყენონ ენა, რათა წიგნში ამოკითხულის შინაარსი დააკავშირონ იმასთან, რაც უკვე იციან, რომ აუხსნათ, რა მოხდა და რომ ივარაუდონ, რა მოხდება მერე, რომ ისაუბრონ ხასიათებსა და გრძნობებზე.

თუ წიგნის კითხვისას დავიცავთ ქვემოთ მოყვანილ 8 პრინციპს[14] და თან ამას ჩართულობითა და ენთუზიაზმით გააკეთებთ, თქვენ, თქვენს მოსაწავლეებს მისცემთ ენისა და აზროვნების განვითარების ყველა შესაძლებლობას; შეაჩვევეთ მათ განმატრებების გაკეთებას, გამოცდილებაზე საუბარს, ემოციების გაზიარებას, მოვლენების შეფასებას, ვარაუდს, დაგეგმვასა და პრობლემის გადაწყვეტას - ანუ განუვითარებთ მათ ყველა იმ უნარსა და თვისებას, რაც მათ ასე გამოადგებათ სწავლასა და მომავალ ცხოვრებაში:

დავუშვათ, რომ ბავშვებს უკითხავთ ზღაპარს „გოგონა და სამი დათვი“:

- განმარტე: გოგონამ მაგიდაზე დატოვებული ფაფა იმიტომ შეჭამა, რომ ძლიან მშიერი იყო

[14] Elaine Weitzman and Janice Greenberg, ABC and Beyond; Hanen Center Publication, 2010. გვ 54-56

- ისაუბრე გამოცდილებაზე: როდისმე, რაიმე ისეთის გაკეთება თუ მოგდომებია, რისი გაკეთებას არ შეიძლება, პატარა გოგონას მსგავსად?
- ემოციები: როგორ ფიქრობ, რას იგრძნობდა პატარა დათვის, თავისი სკამი გატეხილი რომ დახვდა?
- შეაფასე: კარგი აზრი იყო, გოგონამ ტყეში მარტო წასვლა რომ გადააწყვიტა?
- ივარაუდე: რას იფიქრებდნენ დათვები მათ საზინებელში დაძინეული პატარა გოგონა რომ დაინახეს?
- დააგეგმინე: თუ გავიღვიძებ და დავინახავ, რომ ჩემკენ დათვები მოდიან, ალბათ, ძალიან სწრაფად გავიქცევი
- პრობლემის გადაწყვეტა: რა უნდა ქნას გოგონამ შინ რომ დაბრუნდეს?
- წარმოიდგინე: მოდი წარმოვიდგინოთ რომ ანა პატარა გოგონაა, ნიკა პატარა დათვი, დათი და ელენე დედ-მამა დათვები და ეს ამბავი გავათამაშოთ.

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების საჭიროებების გათვალისწინება ბაღში

აკიდევ ერთხელ გაიხსენეთ წინა თავის - „ეფექტური კომუნიკაციის ხელშემწყობი გარემო ბაღში“ - შინაარსი, რადგან ყველა ის მთვარი სტრატეგია, რომელიც იმ თავშია აღწერილი, უაღრესად მნიშვნელოვანია ყველა ბავშვთან სამუშაოდ, განსაკუთრებით კი მათთან, ვისაც კომუნიკაციური, ენობრივი ან მეტყველების სირთულეები აქვს.

მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ენისა და კომუნიკაციის პრობლემებთან, ცვალებადია. გარკვეული მონაცემების თანახმად, შესაძლოა მეტყველებისა და კომუნიკაციის პრობლემები 30 ბავშვიან ჯგუფში დაახლოებით სამ ბავშვს ჰქონდეს.

როდესაც კომუნიკაციური და ენობრივი შეფერხება ან დარღვევა დროულადაა იდენტიფიცირებული და შესაბამისი დახმარებაც დროულადაა აღმოჩენილი, მომავალი სირთულეები სოციალიზაციასა და სწავლაში ან თავიდანაა არიდებული

ან შესაძლო მინიმუმამდეა დაყვანილი. ამიტომ, ადრეული ასაკში მშობლისა და ბაგა-ბაღში მომუშავე ადამიანების ფხიზელი თვალი და საჭიროების შემთხვევაში, ადრეული ჩარევა ბავშვის მომავალ ცხოვრებაში ბევრ რამეს განსაზღვრავს.

შესაბამისად პირველი, რაც ბაგა-ბაღში ბავშვებთან მომუშავე ადამიანებმა უნდა იცოდნენ, ეს არის ბავშვის ენობრივი ათვისების ეტაპები. მათ ასევე უნდა ესმოდეს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართება და მათი კავშირი ბავშვის სხვა, განსაკუთრებით კი, სოციალურ-ემოციურ და აკადემიურ უნარებთან.

კომუნიკაცია ადამიანებს სჭირდებათ არა მხოლოდ საკუთარი საჭიროებების გამოსახატავად და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისათვის, არამედ ემოციებისა და იდეების, სხვა ადმიანების შეხედულებების, აზრებისა და ფართო კონტექსტის გასაზიარებლად. როდესაც კომუნიკაციაზე ვსაუბრობთ, სულ უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება მეტყველება არ არის. ბავრი ადამიანი ახორციელებს წარმატებულ კომუნიკაციას არავერბალური საშუალებების გამოყენებით: ნიშნების, ჟესტების, ბარათების ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების საჭიროებები არის ზოგადი ტერმინი, რაც მოიცავს საჭიროებათა ფართო სპექტრს, მათ შორის:

- დარღვევებს კომუნიკაციაში და ენის პრაგმატულ გამოყენებაში, რაც უფრო მეტად დამახასიათებელია აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის, თუმცა არამხოლოდ.
- პირველ და მეორად ენობრივ დარღვეაეს და ასევე ენობრივ შეფერხებას - ენობრივი დარღვევა პირველადია თუ ბავშვი სხვა დანარჩენ სფეროებში ნორმალურად ვითარდება და მას მხოლოდ ენის განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეები აღენიშნება, ხოლო მეორადია, როდესაც ენობრივი დარღვევა რაიმე სხვა მდგომარეობას ახლავს თან, მაგალითად, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების ძალიან მაღალ პროცენტს ყოველთვის აქვს ენობრივი დარღვევაც, როგორც თანხმლები

მახასიათებელი. თუ ბავშვის ენობრივი განვითარება განვითარების ეტაპებს მიყვება, მაგრამ განვითარება უფრო შენელებული ტემპით ხდება, მაშინ სახეზეა ენობრივი განვითარების შეფერხება, ხოლო თუ შეფერხება წლობითაა გახანგრძლივებული ან განვითარების ნორმალურ ტემპს უხვევს, მაშინ ასეთი მდგომარეობა ენობრივი განვითარების დარღვევად აღიწერება. ენობრივი დარღვევა შეიძლება ვლინდებოდეს ფონოლოგიური აღქმის თვალსაზრისით, მორფო-სინტაქსის თვალსაზრისით, სემანტიკის (ლექსიკის) თვალსაზრისით, ან სამივე მიმართულებით ერთად.

- ბავშვებს შეიძლება არ ქონდეთ პრობლემები ენის განვითარებაში, მაგრამ ქონდეთ გარკვეული პრობლემები მეტყველებაში ანუ არტიკულაციაში. არტიკულაციური პრობლემები ეწოდება მეტყველების მექანიკას, იმას, თუ როგორ იქმნება მეტყველებაში გამოყენებული ბგერები. ეს პრობლემები ვლინდება დისპრაქსიის, დისართრიის ან ტუჩზე/სასაზე ნაპრალის დროს. ბავშვს შეიძლება პრობლემა ჰქონდეს სიტყვების წარმოთქმისას ატრიკულაციის დონეზე იმის მიუხედავად, რომ მან ეს სიტყვები კარგად იცის.

მეტყველების, ენისა და კომუნიკაციის ურთიერთმიმართებას ფორმის, შინაარსისა და გამოყენების (ფუქნციის) მიხედვითად აღწერენ[15].

ფორმა: სამეტყველო ბგერების წარმოთქმა სიტყვათა კომბინაციებში.

შინაარსი: მნიშვნელობა, რომელიც გამოხატულია სიტყვების მეშვეობით (ობიექტები, ქმედებები, საგანთა შორის მიმართებები).

გამოყენება (ფუნქცია): მიზეზი *რატომაც* ვლაპარაკობთ (აზრის გამოხატვა, მიღება, გაპროტესტება); როგორ ვითვალისწინებთ სხვას, როდესაც მათთან შევდივართ კომუნიკაციაში (რა ინფორმაცია იციან უკვე, რა უნდა იცოდნენ, როგორ

[15] **Lahey, M**. (1988). *Language disorders and language development.* New York: Macmillan.

ვადაპტირდებით სხვადასხვა საკომუნიკაციო პარტნიორებთან? როგორ ვიწყებთ, ვინარჩუნებთ და ვასრულებთ კომუნიკაციას სხვასთან?.

შესაბამისად, *ფორმა მეტყველების, არტიკულაციის სფეროა, შინაარსი კი ენის.* მორფო-სინტაქსური გამართვა, ფონოლოგიური ცნობიერება, სიტყვათა შინაარსის გააზრება (სემანტიკა) - როგორ ვახდენთ ჩვენი აზრების ორგანიზებას ფიქრისას, ასევე წერით თუ ზეპირ მოდალობებში, ეს ყველაფერი ენის სფეროს უკავშირდება. *ენის პრაგმატული გამოყენება კი უკვე კომუნიკაციას მიემართება,* როდის და როგორ ვიყენებთ ენას (ვერბალურს თუ არავერბალურს) სხვებთან ურთიერთობისას, ეს უკვე კომუნიკაციის საკითხია.

სამწუხაროდ, როდესაც ბავშვს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სირთულეები აქვს, უფრო მეტი ყურადღება ფორმას ექცევა და ნაკლები შინაარსა და გამოყენებას, არადა ენობრივი განვითარების არსი სწორედ შინაარსა და გამოყენებაშია.

ბავშვებს შეუძლიათ ბგერებისა და სიტყვების, (წინადადებებისაც კი) იმიტირება ისე, რომ არ ესმოდეთ მათი ნათქვამის უკან არსებული აზრი. ძალიან მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ მხოლოდ ბგერებზე მუშაობა არ ეხმარება ენობრივ განვითარებას. ამიტომ, ბგერათა და სიტყვათა კომბინაციების გამოთქმაზე *(ფორმაზე)* მუშაობასთან ერთად, აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ იმ შინაარსა და ფუნქციაზეც, რაც ბავშვის განვითარების ასაკისთვის შესაბამისია.

როდესაც ბავშვის ენობრივ განვითარებას ბუნებრივ გარემოში ვცდილობთ, ანუ, როდესაც ახალი სიტყვის მოდელირება ბუნებრივ სასაუბრო გარემოში ხდება, ბავშვს ვაძლევთ შინაარსის გააზრების საშუალებასაც, რადგან მან სიტყვა *კონტექსტში* გაიგონა და გაიგო. ბავშვის კომუნიკაციის სურვილსა და მზაობაზე პასუხი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ბგერებისა და სიტყვების გამოთქმის სწორად და მრავალჯერადად სწავლება, რადგან ხშირმა შესწორებამ და ძალდატანებამ შესაძლოა კომუნიკაციასთან დაკავშირებული იმედგაცრუება გამოიწვიოს.

შინაარსის კატეგორიები (ენა) მოიცავს, (მაგრამ არ შემოიფარგლება), შემდეგს: გამეორებას (კიდე, მეტი), გარემოში არსებულ საგნებსა და მოქმედებებს (ბურთი, ჭუპა-ჭუპა) არარსებულს (ფაფუ, აღარ არი), ქმედებებს (გახსენი, გაჩერდი, ახტი), სივრცით მიმართებებს (ზევით, შიგნით, ქვევით), კუთვნილებას (ჩემი, დედიკოსი), განსაზღვრებას (სველი, ჭუჭყიანი, გატეხილი, ცხელი), რაოდენობას (ორი, ბევრი), დროს (შემდეგ, მანამდე) და შედეგობრიობას (რადგან, ამიტომ). მნიშვნელოვანია, შევქმნათ შესაძლებლობები გარემოში, სადაც ბავშვები ამ კატეგორიებთან მიმართებაში მრავალფეროვან გამოცდილებას მიიღებენ. თავი აარიდეთ დასახელების მოთხოვნაზე ფოკუსირებას და ამის ნაცვლად, მეტი ყურადღება გაამახვილეთ ბავშვის ბუნებრივ კონტექსტში არსებულ საგნებსა და მის გამოცდილებაზე ამ საგნების მიმართ. ბავშვი ბურთის შესახებ სწავლობს მისი შეგრძნებით, როდესაც ის ხელში უჭირავს, როდესაც გამოცდის, რომ ის მრგვალია და გორავს. სურათები ამ მნიშვნელოვან მინიშნებებს ვერ ჩაანაცვლებენ და შესაძლოა ბავშვისათვის საერთოდ აზრს მოკლებული იყოს, თუ ის იზოლირებულად გამოიყენება.

კომუნიკაცია *ფუნქციათა* მთელ სპექტრს გამოხატავს. ძალიან ხშირად, ჩვენ ხელს ვუწყობთ, მხოლოდ იმას, რომ ბავშვებმა დაასახელონ საგნები და მოითხოვონ, რაც უნდათ. „თუ ჩვენ ენას ვუდგებით, როგორც რაღაცას, რაც უნდა „ვასწავლოთ“ და არა რაღაცას, რაც უნდა „გამოიცადოს“ სხვებთან ურთიერთობისა და ინტერაქციის კონტექსტში, ბავშვებს არ ეძლევათ შესაძლებლობა განივითარონ კომუნიკაციურ ფუნქციათა მთელი სპექტრი“.[16] ჩვენ გვინდა ხელი შევუწყოთ ბავშვის უნარს ახსნას, მოახდინოს სხვისი ქცევის რეგულირება, უარი თქვას, დასვას შეკითხვა, წარმოიდგინოს, შევიდეს ფართო დიალოგში (დისკურსი). თუ ნამდვილად გვინდა, რომ ამ ყველაფერს ხელი შევუწყოთ, *გაზიარებული გამოცდილებაა* სწორედ ის, რითაც უნდა დავიწყოთ. გაზიარებული გამოცდილების კონტექსტში, ჩვენ

[16] Looking at Communication and Language from a Developmental Lens; Michele Ricamato, ICDL DIR Institute.

შეგვიძლია დავეხმაროთ ბავშვებს, თქვან რაიმე, გამოთქვან აზრი ისე, რომ ამ დროს ბავშბს ნაკლები გამომცდელი შეკითხვები დავუსვათ, ბავშვის ინიციატვას მეტად დაველოდოთ და მისი კომუნიკაციის სურვილი მეტად წავახალისოთ. ცხადია, უფრო სასარგებლოა, ბავშვს რიგის/ჯერის დაცვა ბუნებრივ კონტექსტში რიგის/ჯერის დაცვით ვასწავლოთ, ვიდრე ვუთხრათ ბავშვს, როდის უნდა დაიცვას ჯერი. იგივეა, სხვა სოციალური კომუნიკაციის წესების სწავლებისასაც.

შესაბამისად, რადგან ბავშვის ენობრივი და კომუნიკაციური უნარების განვითარებისათვის შინაარსა და ფუნქციას (გამოყენებას) უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფორმას, როდესაც ბავშვის დახმარებაზე ვიწყებთ ფიქრს, ჩვენს თავს უნდა დავუსვათ შემდეგი ტიპის შეკითხვები:

- რა სახის ურთიერთობები, საგნები და ობიექტები იწვევს მის ჩართულობას?
- როგორ რეაგირებს საგნებსა და ადამიანებზე მის გარშემო?
- შეუძლია თუ არა ყურადღების გაზიარება საგანსა და ადამიანს შორის?
- რომელია ისეთი აქტივობა (თუნდაც უმარტივესი, მაგ-ად რაიმე სათამაშოს ტრიალი), რომელში ჩართულობის დროსაც, მას ამ აქტივობასთან დაკავშირებული იდეის ან ემოციის სხვისთვის გაზიარება შეუძლია, (თუნდაც შეხედვით, გაცინებით ან მინიშნებით)?

ბავშვის ენობრივი და კომუნიკაციური უნარების გასაუმჯობესებელი მიზნები და ამ მიზნის მიღწევის სტრატეგიები, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის გათვალისწინებით და ყველა ჩართული მხარის [17] მონაწილეობით უნდა განისაზღვროს.

---

[17] ბაგა-ბაღის გარემოში ჩართული მხარე უნდა იყოს: მშობელი, აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი, ბაღში ან ბაღების გაერთიანებაში ინკლუზიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტი (ფსიქოლოგი, ლოგოპედი და/ან სპეციალური განათლების პედაგოგი), ბავშვთან მომუშავე ბაღს გარე სპეციალისტი (არსებობის შემთხვევაში). თუ ბავშვის სპეციალური საჭიროებები თვალსაჩინოა, მაშინ ყველა ეს ადამიანი ბავშვის გუნდის წევრი უნდა გახდეს და ბავშვის ინდივიდუალური გეგმის განსაზღვრასა და შესრულებაზე გუნდურად უნდა იმუშაონ. ხოლო თუ ბავშვის საჭიროებები უფრო მსუბუქი სახისაა, ამ

ცხადია, გარდა ამ საკითხებისა, კარგად უნდა გვესმოდეს ენობრივი განვითარების რომელ სფეროში აქვს ბავშვს სირთულე, ერთში თუ რამდენიმეში. სასურველია, ბავშვის შეფასებაში [18] ენობრივი განვითარების თვალსაზრისით, ამ საქმის პროფესიონალი იყოს ჩართული. კარგი იქნება, თუ ბავშვის შეფასება არ მოხდება ერთჯერადად და მას სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა კომუნიკაციურ პარტნიორთან დააკვირდებიან, რადგან გარემოსა და კომუნიკაციურ პარტნიორრზე ბევრი რამაა დამოკიდებული. ბავშვის შეფასების შედეგები, როდესაც საქმე მხოლოდ კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების შეფასებას ეხება, შეიძლება გაერთიანდეს ქვემოთ მოყვანილ ფორმაში:

ინფორმაცია ბავშვის ენობრივი განვითარების შესახებ

საჭიროებებზე რეაგირება, შესაძლოა მხოლოდ აღმზრდელმა მოახდინოს მშობელთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, კი კონსულტაციები გაიაროს ყველა ხელმისაწვდომ რესურსთან, იქნება ეს ბაღში თუ ბაღს გარეთ მომუშავე სპეციალისტი.

[18] არსებობს ბავშვის ენობრივი განვითარების შეფასების ფორმალური და არაფორმალური ინსტრუმენტები. ბაგა-ბაღის გარემოში, როგორც წესი, არაფორმალური ინსტრუმენტები (სხვადასხვა სახის კითხვარები ან რეიტინგული შკალები) გამოიყენება. ერთ-ერთი ასეთ ინსტრუმენტს ამ თავის ბოლოშიც ნახავთ. ეს კითხვარი დაგეხმარებათ უკეთ დაინახოთ, ვითარდება თუ არა ბავშვი ასაკის შესაბამისად, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თვალსაზრისით. არსებობს მცდარი მოსაზრება, რომ ბავშვის ენობრივ განვითარებაზე დაკვირვება და ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის მეტყველებას დაიწყებს. ბავშვის ენის განვითარება მისი დაბადებისთანავე (თუ უფრო ადრე არა) იწყება და შესაბამისად უფროსები ყურადღებით უნდა იყვნენ ყოველთვის, რადგან ყველა ასაკს განვითარების თავისი ეტაპები და თავისებურებები გააჩნია. ამ ქვეთავის ბოლოს მოყვანილი ცხრილი 2 წლიდან იწყება, რადგან ბავშვები ბაღში 2 წლის ასაკიდან შეიძლება მოხვდნენ, თუმცა ბაღის გარემოში მომუშავე ადამიანებს მნიშვნელოვანია ესმოდეთ, კომუნიკაციური და ენობრივი განვითარების თვალსაზრისით, რა მნიშვნელოვან საფეხურებს გადის ბავშვი 2 წლამდეც.

რა ვითარებაში და რა ინსტრუმენტის გამოყენებით შეფასდა ბავშვი[19]: ----------
---

შეფასების შედეგები:

	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
კომუნიკაცია		
ენა-სემანტიკა		
ენა- ფონოლოგიური აღქმა		

[19] მაგალითად: ბავშვს დავაკვირდი სხვადასხვა ვითრებაში, ბავშვზე დაკვირვების და აღმზრდელთან და მშობლეთან ინტერვიუების მეშვეობით, შევავსე ბავშვის ენობრივი განვითარების შკალა, წიგნიდან „კომუნიკაცია, ენა და მეტყველება სკოლამდელ განათლებაში“. ბავშვი შეაფასა განვითარების ფსიქოლოგმა .... ინსტრუმენტის გამოყენებით და ა.შ.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

ENA-MORFO-

SINTAXIS

ARTIKULACIA

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

- სანდრო, 2,5 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყენებს 2 სიტყვიან წინადადებებს, მისი ლექსიკონიც ძალიან მწირია, მხოლოდ რამდენიმე სიტყვას ამბობს, როდესაც რაიმეს მოთხოვნა უნდა. ძალიან უჭირს დილაობით დედასთან განშორება, ბაგა-ბაღის ჯგუფში ძირითადად მარტო თამაშობს, არ ურთიერთობს არც აღმზრდელებთან, იწყებს შთოფთვასა და „უმიზეზო“ ტირილს, სადილის შემდეგ.
- ნინო, 5 წლის ხდება, დაუნის სინდრომი აქვს. კომუნიკაბელური ბავშვია, რომელსაც უყვარს ბაღში სიარული. თავის სურვილებსა და ემოციებს ძირითადად ჟესტებითა და მიმიკებით გამოხატავს, თუმცა, უჭირს ჯერის დაცვა და ამის გამო, შეიძლება ვინმეს უხეშადაც მოექცეს. მისი ენობრივი განვითარება 2,5 ნახევრის ბავშვისას შეესაბამება, ბევრად მეტი ესმის, ვიდრე

გამოხატავს, თუმცა ხანდახან მასწავლებელს უჭირს 2 საფეხურიანი ინსტრქუციები გააგებინოს. სიტყვების უმრავლესობას გაურკვევლად ამბობს, ახლახან დაიწყო, დროდადრო 3 სიტყვიანი ფრაზების გამოყენება, თუმცა სიტყვებს არასწორად აკავშირებს ერთმანეთთან. იწყებს კუთვნილებითი ფორმებისა და ნაცვალსახელების გამოყენებას, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევეში, ეშლება.

- ლუკა 3 წლისაა, მას ახლახან დაუდგინეს აუტიზმის სპექტრის დარღვევა. ბაღში გაჩერება უჭირს, ხშირად ყრის სათამაშოებს და ღიზიანდება. ყველაზე მეტად სახლიდან მოტანილი მანქანით თამაში და ანბანზე სიმღერა უყვარს.
- მარი, 6 წლის ხდება, დედა წუხს, რომ მეტყველებისას ხშირად ურევს ს-სა და შ-ს, ასევე წ-სა და ჭ-ს.
- ლიზი, 3,5 წლისაა. 2,5 ასაკში მას კოხლეარული იმპლანტი ჩაუდგეს. 1,4 წლის ასაკიდან სმენის აპარატს ატარებდა. ლიზი აუდიოპედაგოგთან დადის, 100-მდე სიტყვის თქმა შეუძლია, თუმცა, უფროსებთან და ბავშვებთან კომუნიკაციისას ურჩევნია ჟესტები და მინიშნებები გამოიყენოს.
- დაჩი 4,5 წლისაა, მისი განვითარება კოგნიტური, მოტორული, სოციალურ-ემოციური და თვითმოვლის სფეროებში ნორმას შეესაბამება. ერთი შეხედვით, ნორმასთან მიახლოვებულია მისი ენობრივი განვითარებაც, თუმცა დაჩის ხშირად ეშლება სიტყვების გამოთქმა, თავის თანატოლებთან შედარებით უფრო ხშირად უშვებს გრამატიკულ შეცდომებს და უფრო რთულად ოპერირებს დროის აღმნიშვნელი სიტყვებით. თანატოლებისგან განსხვავებით, ნაკლებად ინტერესდება ნაწერითა და ასოებით, უყვარს წაკითხულის მოსმენა, მაგრამ, უჭირს თავისი აზრის ჩამოყალიბება წაკითხულთან დაკავშირებით, მიუხედავად, იმისა, რომ წაკითხულის შინაარს იგებს. მისი აღმზრდელ-პედაგოგი წუხს, რომ დაჩის შესაძლოა სკოლაში წერა-კითხვასთან და სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნას.

როგორც აღინიშნა, ენობრივი სირთულეები შესაძლოა იყოს პირველადი ან მეორადი. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან, ცხადია, რომ ლუკას, ლიზისა და ნინოს მეორადი ენობრივი დარღვევები აქვთ, მათი დიაგნოზებიდან გამომდინარე. სანდროს შემთხვევაში, ჯერ ენობრივ დარღვევაზე საუბარი ადრეა, თუმცა აშკარაა, რომ მას ენობრივი განვითარების შეფერხება აქვს და დროული ჩარევა სჭირდება. ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე, მარის პრობლემა მხოლოდ არტიკულაციურია. თუ დაჩის თავისი ენობრივი განვითარების სირთულეები პრობლემას შეუქმნის სწავლასა და კითხვაში, ანდა სოციალიზაციაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას ენობრიივი დარღვევის გარკვეული ტიპი აქვს და მასაც აუცილებლად სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა.

- იმ მწირი მონაცემებიდან გამომდინარე, რაც სანდროს შესახებ ვიცით, მისი შეფასების შედეგები შესაძლოა ასე გამოიყურებოდეს, თუმცა სანდროსა და ყველა სხვა დანარჩენის შეფასების შემთხვევაში, იმისათვის, რომ შეფასება რეალური და სრულყოფილი იყოს, ბავშვის შესახებ მრავალჯერადი დაკვირვებით, შეფასებითა და მშობელთან ინტერვიუს გზით მიღებული, ბევრად უფრო მეტი ინფორმაცია უნდა გვქონდეს:

	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
კომუნიკაცია		საჭიროა მეტი ინიციატივა გამოიჩინოს ჯერ უფროსებთან, შემდეგ კი ბავშვებთან ურთიერთობისას.
ენა-სემანტიკა		საჭიროებს ლექსიკის გაფართოებას.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

ENA-
ფონოლოგიური
აღქმა

ENA-მორფო-
სინტაქსი

უნდა გადავიდეს 2 სიტვიანი და შემდეგ 3 სიტყვიანი ფრაზებისა და წინადადებების გამოყენებაზე.

არტიკულაცია

სანდროს აუცილებლად ექნება თავისი ძლიერი მხარეებიც, რასაც დაკვირვება, აღნიშვნა და მასთან მუშაობისას გამოყენება სჭირდება. როდესაც სანდროს აღმზრდელ-პედაგოგმა და მშობელმა ისუბრეს, გაირკვა, რომ სანდროს ძალიან უყვარს ქვიშაში თამაში და წიგნი დინოზავრებზე . ამიტომ დედამ და მასწავლებელმა ერთად შემდეგი რამ მოიფიქრეს: სანდროსა და მისი დედის განშორება უფრო უმტკივნეულო რომ იყოს, ყოველთვის, როდესაც სანდრო ბაღში მოვა, აღმზღდელი მას, 5-10 წუთის მანძილზე, ქვიშის კონტეინერთან ეთამაშება. ამ პერიოდს აღმზრდელი გამოიყენებს იმისათვის, რომ სანდროს კომუნიკაციის

ინიციატივივა გაუზარდოს და 2 სიტვიანი წინადადებების მეტი და მეტი მაგალითი შესთავაზოს.

აღმზრდელ-პედაგოგმა მიზნად დაისახა, რომ სანდრო, 2-3 თვის მანძილზე დაიწყებს 2 სიტყვიანი ფრაზების -„კიდე მინდა“, „... გავავსოთ“, „ჩავყაროთ კიდე“ და სხვა- გამოყენებას ბუნებრივ ვითარებაში.

გარდა ამისა, რამდენადაც სანდრო თავისუფალი თამაშების დროს, ძირითადად კუბურებუთ ერთობა, აღმზრდელ-პედაგოგი ყურადღებას მიაქცევს, რომ სანდრომ ხანდახან მის სივრცეში მყოფ ბავშვსაც სთხოვოს „კუბიკის“ მიწოდება და შემდეგ აშენებული კოშკი უფროსაა და თანატოლს აჩვენოს. ასეთ შემთხვევაში, სანდროს შექებისას აღმზრდელ-პედაგოგი ყოველთვის მოკლე და მარტივად გასაგებ წინადადებებს გამოიყენებს: „ყოჩაღ, სანდრო! მაღალი კოშკი ააშენე“ და ა.შ.

დაკვირვების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ სადილის შემდეგ, უკვე დაღლილ სანდროს, მშვიდი აქტივობა და მეტი ყურადღება სჭირდება, ამიტომ აღმზრდელი და სანდროს დედა შეთანხმდნენ, რომ თავის დინოზავრების წიგნს სანდრო ბაღში ატარებს ხოლმე და სადილის შემდეგ ყოველთვის ერთნაირი რიტუალი გაიმართება: აღმზრდელი და სანდრო ერთად დასხდებიან წყნარ კუთხეში და დინოზავრების წიგნს დაათვალიერებენ. ამ აქტივობის დროსაც მიზანი სანდროს კომუნიკაციური ინიციატივის გააქტიურება იქნება.

სანდროს დედა და აღმზრდელ-პედაგოგი ასევე შეთანხმდნენ, რომ კარგი იქნება, თუ სანდროს ენობრივ განვითარებას ამ სფეროს სპეციალისტიც შეაფასებს.

- ნინოს შემთხვევაში, მისი შეფასების სურათი შესაძლოა ამგვარი იყოს:

შეფასების შედეგები:

ძლიერი მხარეები	საჭიროებები

კომუნიკაცია	უყვარს ბაღში სიარული, უფროსებთან და ბავშვებთან კომუნიკაცია.	კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ვასწავლოთ ჯერის დაცვა.
ენა-სემანტიკა	ბევრ რამეს იგებს, თითქმის ყოველთვის ასრულებს ერთსაფეხურიან ინსტრუქციებს.	სხვადასხვა თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკის გაფართოება. ორსაფეხურიანი ინსტრუქციების შესრულების სწავლება.
ენა-ფონოლოგიური აღქმა	ის სიტყვები, რომელსაც ამბობს, გასაგებია მისი მშობლებისა და ახლობლებისათვის	საჭიროებს ფონოლოგიურ და ფონეტიკურ შეფასებას, რათა დადგინდეს რომელი ბგერებია მისთვის ყველაზე რთული აღსაქმელადაც და გამოსათქმელადაც.

ენა-მორფო-სინტაქსი	დროდადრო ცდილობს გამოიყენოს კუთვნილებითი ფორმები და ნაცვალსახელები.	საჭიროებს მიზანმიმართულ მუშაობას მორფო-სინტაქსური კონსტრუქციების გასაუმჯობესებლად.
არტიკულაცია		საჭიროებს ფონოლოგიურ და ფონეტიკურ შეფასებას, რათა დადგინდეს რომელიც ბგერებია მისთვის ყველაზე რთული აღსაქმელადაც და გამოსათქმელადაც

ბაგა-ბაღში ნინო განვითარების ინდივიდუალურ გეგმაზე გუნდი მუშაობს. ამ გუნდის წევრები ნინოს დედა, ნინოს აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი, ბაგა-ბაღის სპეციალური განათლების პედაგოგი და ლოგოპედი არიან. გუნდის შეხვედრას პირველ ჯერზე ასევე ესწრებოდა, ნინოს ადრეული ჩარევის სპეციალისტი, რომელთანაც ის ინდივიდუალურად, სახლში მუშაობს. ნინოს შეფასების ფორმასა და ინდივიდუალურ გეგმაში გაერთიანებული ის საჭიროებები, რაც მას კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თვალსაზრისით აქვს.

ნინოს ფუნქციური გრძელვადიანი მიზნები ასეთია:

1. ხატვის აქტივობის დროს, ნინო სხვა 3 ბავშვთან ერთად ხატავს და სთხოვს ბავშვებს, როდესაც, რომელიმე ფერის ფანქარი სჭირდება. მიღწევის ვადა, 3 თვე.

2. ელოდება თავის რიგს ხელის დაბანისას. მიღწევის ვადა 2 თვე.
3. მეტყველებისას იყენებს კუთვნილების აღმნიშვნელ ფორმებსა და ნაცვალსახელებს (დათოს ქუდი, ჩემი ფანქარი, ბებოს სათვალე, შენი სათამაშო და სხვა). მიღწევის ვადა 4 თვე.

პირველი გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად, ცხადია, რომ ნინომ ფერების ცნობა და სახელდება უნდა იცოდეს. ორი ან სამი ფერის გარჩევის სწავლება ნინოს გრძელვადიანი მიზნის მოკლევადიანი მიზანი შეიძლეა იყოს. ამ მიზნის მისაღწევად კი ბაგა-ბაღშიც და სახლშიც მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება შეიძლება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფერების დასახელების მოთხოვნაზე უკეთესი სტრატეგია, ფერების ბუნებრივ გარემოში შესწავლაა. თუ ნინოსთვის მიზნად დავისახავთ, რომ მან წითელი და მწვანე ფერების გარჩევა ისწავლოს კარგი იქნება, ოჯახს ვთხოვოთ, მაგალითად, ნინოს ჯერ წითელი დღე მოუწყონ, ამ დღეს ნინო ჩაიცმევს ყველაფერს წითელს, ბაღში წითელი ბუშტით მივა, აღმზრდელ-პედაგოგი და სხვა ბავშვებიც იზრუნებენ, რომ ამ დღეს ბაღში წითელი ფერი უხვად იყოს და ამ ფერის გარშემო ბევრ საინტერესო აქტივობებს მოიფიქრებენ. (ბევრად უკეთესი იქნება, თუ ეს მიზანი ბაგა-ბაღის ჯგუფში ფერებთან დაკავშირებულ თემატიკას დაემთახვევა). ბაღიდან სახლში მიმავალ გზაზე ნინო და მისი დედა მაღაზიაში შევლენ და მხოლოდ წითელი ფერის პროდუქტებს იყიდიან და ა.შ. ცხადია, მხოლოდ ერთი დღე, რაც არ უნდა დასამახსოვრებლი და ხალისიანი იყოს ეს დღე, ფერის კარგად შესასწვლად საკმარისი არ არის, ამიტომ, სანამ ნინო წითელს და მწვანეს ისწავლის, მის გარშემო მყოფი უფროსები, ყოველ ჯერზე დაასახელებენ ამ ფერს, როდესაც ნინოს ამ ფერებთან ექნება შეხება, ოღონდ ისე, რომ „გამოცდას“ ფერის ცოდნაზე არ მოუწყობენ.

პირველი გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად ნინომ თხოვნაც უნდა ისწავლოს. ამ მიზნის მიღწევის სტრატეგიები შემდეგია, მცირე ჯგუფურ აქტივობებში, იქნება ეს საუზმე, სადილი თუ სამხარი, ხატვა, ლოტოს თამაში თუ სხვა, აღმზრდელ-პედაგოგი ან აღმზრდელი ბავშვებთან ერთად ჩაერთვება და ნინოსა და სხვა ბავშვებს სოციალურად მისაღები თხოვნის მაგალითებს მისცემს: „ლუკა, თუ

შეიძლება, პური მომაწოდე“, „ნინო, წყალი დაგისხა?“. „აი, გამომართვი წითელი „კუბიკი“, მგონი, სახლის სახურავისთვის გჭირდება“ და ა.შ. აღმზრდელ-პედაგოგი სთხოვს ნინოს მშობლებსაც, რომ სახლში ოჯახის წევრებმა, ნინოსთან ერთად სადილობისას, მსგავსი შინაარსის ფრაზები უხვად გამოიყენონ.

მეორე მიზნის მისაღწევად, ყოველთვის, როდესაც ბავშვები ხელის დასაბანად გადიან აღმზრდელი ყურადღებას აქცევს, რომ ნინო რიგში არც პირველი იდგეს (ასე ის რიგის დაცვას ვერ ისწავლის) და არც ძალიან უკან, (რადგან დიდხანს ლოდინი მას სხვა ბავშვებზე მეტად გაუჭირდება). პირველი თვის მანძილზე ნინო რიგში ყოველთვის მეორე იქნება და აღმზრდელი ყოველთვის გაახმოვანეს, ჯერ გიორგის ჯერია, მერე ნინოს ჯერია და ა.შ. იგივე სტარტეგია იქნება გამოყენებული ეზოში გასვლისას, საქანელაზე ჩამოსრიალებისას და ა.შ. ჯერის დაცვის, დალოდებისა და ერთმანეთის გათვალისწინების აუცილებლობაზე აღმზრდელ-პედაგოგი თანმიმდევრულად მუშაობს ყველა ბავშვთან და მათთან თამაშისას, წიგნის კითხვისას თუ წრის აქტივობებისას მუდმივად მოუხმობს მსგავის ტიპის კომენტარებს: „მაიკო, ცოტა დაიცადე, ახლა თამუნამ უნდა დაასრულოს თავისი სათქმელი და მერე შემ მოგისმენ“, „მანო, მომეწონა, ნინოს კიბეზე ასვლა რომ აცალე და არ გაასწარი“ და ა.შ.

მესამე მიზნის მიღწევის სტრატეგია ნინოსთან თამაშისას ან სხვადასხვა რუტინული საქმეების შესრულებისას (ჰიგიენა, ჩაცმა, ჭამა, დაძინება და ა.შ.) „ვისია?“ შეკითხვის ხაზგასმაა. ოღონდ, მნიშვნელოვანია, რომ უფროსები ამ შეკითხვას სულ ნინოს კი არ უსვამდნენ, არამედ საკუთარ თავსაც ან ერთმენთსაც ეკითხებოდნენ: „ნეტა, ვისია ეს სათვალე“, თუ ნინომ სწორი პასუხი გაგცათ, ცხადია, ამის აღნიშვნა და ნინოს შექება მნიშვნელოვანია. სხვა შემთხვევაში, თუ ნინომ პასუხი არ გაგცათ, შეგიძლიათ ასე გააგრძელოთ: „ნინო, ეს სათვალეს მანანასია? მივუტანოთ მანანას? აი, მანანა, შენი სათვალე მოგიტანეთ, სათვალე მანანას ყოფილა“ და ა.შ.

ცხადია, ენობრივი განვითარებისათვის ასევე უხვად გამოიყენება ისეთი სტრატეგიები, როგორიცაა მოკლე საბავშვო ლექსებისა და სიმღერების ნინოსთვის

ხშირი გამეორება და ერთად სიმღერა, ასევე ნინოს საყვარელი საბავშვო წიგნების კითხვა ან ერთად თვალიერება და საუბარი.

- პირველ რიგში, ლუკას შემთხვევაში, მნიშვნელოვანია აღმზრდელ-პედაგოგმა მასთან კომუნიკაცია დაამყაროს ისე, რომ ეს ლუკასთვის გასაბი იყოს და მასა ლუკას შორის ნდობა და პოზიტიური კომუნიკაცია გაჩნდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია ლუკას პირველ ეტაპზე ბაღის გარემოში ერთი კომუნიკაციური პარტნიორი მაინც ყავდეს, ვისთანაც ის რაიმე ინტერაქციაში იქნება ჩართული, თუნდაც ეს ინტერაქცია დღეში მხოლოდ რამდენიმე წუთის მანძილზე გრძელდებოდეს.

	ძლიერი მხარეები	საჭიროებები
კომუნიკაცია	ინტერესდება მანქანებით, უყვარს სიმღერა ანაბანაზე. შეუძლია შეხედვით ან ხელის მოკიდებით და ჩვენებით, მიგვანიშნოს, რა უნდა.	ინტერაქციის დამყარება ჯერ უფროსებთან, შემდეგ ბავშვებთან.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

ENA-ASSISTING BETTER COMMUNICATION

ენა-სემანტიკა

სურვილების და ემოციის გამომხატველი რამდენიმე სიტყვის შესწავლა და ფუნქციური გამოყენება.

ენა-
ფონოლოგიური
აღქმა

ენა-მორფო-
სინტაქსი

არტიკულაცია

ლუკას სირთულე, ცხადია, კომუნიკაცია და სოციალური უნარებია. მიუხედავად იმის, რომ ის უკვე სამი წლის ხდება და ჯერ თითქმის არ ლაპარაკობს, მის კომუნიკაციურ სირთულეებზე ყურადღების გამახვილებისა და ამ პრობლემის შემსუბუქებამდე, მეტყველების განვითარებაზე ზრუნვა ნაადრევია. მასთან შეწყობილი კომუნიკაციის დამყარების შემდეგ, იმ პროცესთან ერთად, როდესაც ის ისწავლის, რომ კომუნიკაცია სასარგებლოა, რადგან, კომუნიკაციის მეშვეობით,

სურვილების გამოხატვა, ინფორმაციისა და გრძნობების გაცვლა-გამოცვლაა შესაძლებელი, ის ასევე ისწავლის სიტყვების მნიშვნელობას და ამ სიტყვების დანიშნულებისამებრ გამოყენებას.[20]

ლუკას ნეიროფსიქოლოგისა და ენისა და მეტყველების თერაპევტის რჩევით, ბაღის გარემოში მის მიზნად განისაზღვრა, რომ *მისთვის სახალისო აქტივობის დროს, ლუკა შეძლებს ყურადღების გაზიარებას, ორმხრივ კომუნიკაციაში ჩართვას და კომუნიკაციური ინიციატივის გამოჩენას; მიღწევის ვადა 2 თვე.* გადაწყდა, რომ ეს აქტივობა მანქანით თამაში იქნება, რადგან ლუკა ყველაზე მეტად საკუთარი მანქანითაა დაინტერესებული.

ბაგა-ბაღში ლუკას გარშემო არსებული გუნდის წევრები ასევე შეთანხმდნენ იმაზეც, რომ როდესაც ლუკა რამდენიმე უფროსთან დაამყარებდა ინტერაქციას, შემდეგ ხელი შეეწყობოდა ამის განზოგადებას რამდენიმე ბავშვის შემთხვევაშიც და ასევე, ნელ-ნელა ლუკა ისწავლიდა ისეთი სიტყვების გამოყენებას (ბარათებით ან ვერბალურად), როგორებიცაა: „კიდე“, „მინდა“, „კარგია“, „მომწონს“, „არა“.

რა უნდა გვესმოდეს იმისათვის, რომ ლუკასთან ამ მიზნებს მივაღწიოთ?: ადამიანებს შორის ინტერაქციასა და ჩართულობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სახეზეა: ა) ყურადღების გადანაწილება ადამიანსა და საგანს შორის, ბ) როდესაც არსებობს კომუნიკაციური გაცვლა-გამოცვა და გ) როდესაც არსებობს კომუნიკაციის ინტენცია, ანუ რაიმე ინფორაციის გაზიარების სურვილი. იმისათვის, რომ ბავშვი იყოს ჩართული, შემოდიოდეს კომუნიკაციაში და იჩენდეს კომუნიკაციის ინიციატივას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, გვესმოდეს შეუძლია თუ არა ბავშვს ყურადღების გადანაწილება საგანსა და ადამიანს შორის. მაგალითად, როდესაც ბავშვი დაკავებულია რაიმე საგნით - ატრიალებს მანქანის

---

[20] ზოგიერთმა ბავშვმა სიტყვების შინაარსი შესაძლოა ისწავლოს და ისინი დანიშნულებისამებრ ბარათების ან ჟესტების მეშვეობით გამოიყენოს, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ორალურ-მოტორული დისფუნქცია იმდენად ძლიერია (როდესაც მას პირის ღრუს აპარატის სამეტყველოდ მობილიზება ძალიან უჭირს), რომ მეტყველება არ შეუძლია.

ბორბალს, აკაკუნებს ფანქრით ფურცელზე, უყურებს მზის სხივების კვალს ოთახში ან აკეთებს ნებისმიერი სხვა რამეს, თუ ამ დროს მას უფროსი დაელაპარაკება ამ მიანიშნებს იმავე საგანთან დაკავშირებით, რითაც ბავშვია გართული, შეუძლია მას ყურადღების ისე გადატანა ადამიანზე, რომ თან საგნის მიმართ ინტერესი შეინარჩუნოს? ყურადღების გაზიარება საგანსა და ადამიანს შორის, ის რასაც ბავშვები უმრავლესობა თავისთავად და ბუნებრივად სწავლობს ადრეული ასაკიდან, პრობლემური და სირთულის შემცველია ზოგიერთი ბავშვისათვის (განსაკუთრებით დამახასიათებელია აუტიზმის მქონე ბავშვებისათვის). არადა, ეს უნარი გადამწყვეტია სხვებთან კომუნიკაციის დასამყარებლად, შესაბამისად კი საბაზისოა ყველა სხვა უნარისა და ქცევისათვის.

ყურადღების გადანაწილების სწავლება შესაძლებელია მხოლოდ იმაზე დაკვირვებით, თუ რა აქტივობა, რა საგანი მოსწონს და აინტერესებს ბავშვს, რის მიმართაა ემოციურად პოზიტიურად განწყობილი და შემდეგ ამ აქტივობაში შეწყობით. შეწყობის მთავარი პრინციპია, ბავშვთან ერთად, მის პარალელურად აკეთოთ ის, რაც მას მოსწონს და როგორც კი ბავშვი ყურადღებას თქვენზე გადმოიტანს, რაიმე პოზიტიური უკუკავშირი მისცეთ - გაუღიმოთ, ან რაიმე პოზიტიური უთხრათ. თუ მაგალითად, ბავშვი რაიმეს აგორებს, თქვენს იგივე გააკეთეთ და დაელოდეთ, თუ ბავშვი მიგანიშნებთ, რომ კიდევ გააგოროთ, გააგორეთ, შემდეგ ისევ დაელოდეთ მის რეაქციას, რომ განიშნოთ თუ უნდა კიდევ. თუ ამგვარი ინტერაქცია შედგება, ეს უკვე ნიშნავს ბავშვმა ყურადღება თქვენსა და საგანს შორის გაანაწილა, თუ რაიმეს გაკეთება გთხოვათ ან მიგანიშნათ, რომ გააკეთოთ და თქვენ ეს გააკეთეს, ეს უკვე კომუნკაციური გაცვლა-გამოცვლაცაა და ბავშვის მხრიდან კომუნიკაციური ინიციატივის გამოჩენაც. ბავშთან კომუნიკაციის ამ გზით დამყარებაა საფუძველი იმისა, რომ მას ნელ-ნელა მეტი აქტივობების მიმართ გაუჩნდება ინტერესი, პოზიტიური ემოციური კავშირი და გამოიჩენს კომუნიკაციის მეტ ინიციატივას.

სანამ შეწყობის სტრატეგიას დაგეგმავთ, არ დაგავიწყდეთ გაიაზრით ბავშვის სენსორული პროფილი: თქვენი როგორი ხმა და ლაპარაკი მოეწონება მას? რა

რეაქცია ექნება შეხებაზე? და სტრატეგია შესაბამისად დაგეგმოთ. რამდენიმედღიანი გამოცდილებისა და მშობლის გამოკითხვის შედეგად, ლუკას მასწავლებელმა უკვე იცის, რომ ლუკას უცაბედი შეხება და ხმაური არ სიამოვნებს და შესაძლოა ამან ძალიან გააღიზიანოს, თუმცა მისი ყურადღების მიქცევა შესაძლებელია მაშინ, როდესაც „მის სივრცეში“ მოექცევი, მკაფიოდ და გარკვევით მიმართავთ, თუმცა არა ზედმეტად ხმამაღლა.

ლუკასთვის ინდივიდუალური გეგემის შედგენის პირველ შეხვედრაზე, ითქვა რამდენად მოსწონთ ბავშვებს, განსაკუთრებით კი აუტიზმის მქონე ბავშვებს, წინასწარგანსაზღვრული რიტუალების შესრულება. ლუკას ფსიქოლოგმა აუხსნა გუნდის წევრებს, რომ ამგვარი რიტუალები ლუკას წინასწარი მოლოდინის გრძნობას გაუჩენდა და გაურკვევლობით გამოწვეულ სტრესს შეუმცირებდა. ლუკას ბაღში მოსვლის რიტუალი უფრო წინასწარგანსაზღვრული რომ გამხდარიყო, ლუკას მასწავლებელმა დედას სთხოვა ლუკას ფოტო მოეტანა, რომელსაც წინასწარ მომზადებულ ყუთში თავის ფოტოსთან ერთად ჩადებდა, რათა ყოველ დილას მასწავლებლისა და ლუკას ფოტოების დაკიდება, ლუკას ბაღში მოსვლის რიტუალი გამხდარიყო, რაც ლუკას წინასწარგანსაზღვრულობის მეტ შეგრძნებას მისცემდა და ბაღში მისვლასა და დარჩენას გაუადვილებდა.

ლუკას მშობლები და აღმზრდელი შეთანხმდნენ, რომ პირველ ეტაპზე, ლუკა ბაღში მივიდოდა დილის წრისა და საუზმის შემდეგ, როდესაც ბავშვებს ცენტრებში თავისუფლად თამაშის დრო აქვთ, რათა აღმზრდელ-პედაგოგს, ქონოდა დრო ლუკას ქცევას უფრო თავისუფლად დაკვირვებოდა და სიტუაცია ისე მოეწყო, რომ ლუკასთან ერთად უფრო მშვიდ კუთხეში ინტერაქციის შესაძლებლობა მისცემოდა.

აღმზრდელმა გაითვალისწინა, რომ იმ კუთხეში, სადაც ლუკა პირველ ჯერზე ითამაშებდა ბევრი გამღიზიანებელი (სათამაშოები, ყურადღების მისაქცევი საგნები) არ ყოფილიყო. თავიდან, როდესაც აღმზრდელ-პედაგოგი ლუკას გევრდით დაჯდომას და მის პარალელურად მანქანის ბორბლის ტრიალს და წინ და უკან ტარებას შეეცადა, ლუკას ყურადღება ვერ მიიპყრო, მაგრამ, როდესაც, შემდეგ ჯერზე ისე მოეწყო, რომ ლუკას მხედველობის არეალში იყო და თანაც დროდადრო

ლუკას საყვარელ სიმღერასაც მღეროდა (რომლის შესახებაც ინფორმაცია მშობლისგან მიიღო), ლუკამ მას ერთი-ორჯერ წამიერად შეხედა. მასწავლებელს ლუკას ეს მზერა არ გამოპარვია და როდესაც სიმღერისას ლუკამ ისევ გამოხედა, მისი მიმართულებით მანქანა უფრო სწრაფად გააქანა და კედელს დააჯახა. ლუკამ მასწავლებელს შეხედა, მაგრამ თავისი საქმიანობა განაგრძო, ცოტა ხანში მასწავლებელმა ისევ დააჯახა მანქანა კედელს და ლუკას რეაქციას დაელოდა, გაუღიმა და კითხა -კიდე? ლუკას მზერამ და თავის ოდნაც დახრამ მასწავლებელს მიანიშნა, რომ ლუკას ისევ უნდოდა ენახა, როგორ შეაჯახებდა მასწავლებელი მანქანას კედელს.

პირველი ორი თვის მანძილზე, შეჩვევის ეტაპზე ლუკა ბაღში მხოლოდ ორი საათით დადიოდა. მას შემდეგ, რაც ლუკას ბაღში მოსვლის ერთიდაიგივე რიტუალი ჩამოუყალიბდა და ორ უფროსს მანქანით თამაშსა და ქვიშაში თამაშში შეეწყო, ლუკას გუნდმა დაიწყო ფიქრი იმის შესახებ, როგორ გაეზარდათ ლუკას ბაღში ყოფნის დრო და როგორ შეეწყოთ ხელი იმისათვის, რომ ლუკას რამდენიმე საბაზისო სიტყვის გამოყენებაც შეძლებოდა.

გადაწყდა, რომ ისეთ სიტყვებს როგორიცაა „კიდე, მინდა“, „მომწონს“ ლუკას მანქანებით თამაშისას და ასევე ეზოში საქანელაზე ქანაობისას გაუვარჯიშებენ. ლუკას მასწავლებელმა უკვე იცის, რომ ლუკა მოძრაობისადმია მიდრეკილი. მას დროდადრო ისეთი აქტივობები უნდა შევთავაზოთ, სადაც მოძრაობა იქნება ჩართული, თორემ სხვაგვარად, თუ შედარებით მშვიდი და უმოძრაო აქტივობების დრო ძალიან გახანგრძლივდა, ის მოუსვენრობას, სათამაშოების გადმოყრას და ჯგუფში წრეზე სირბილს დაიწყებს. ამიტომ, ლუკას შინაგანი მოთხოვნილება დროდადრო იმოძრაოს და ირბინოს, გამოყენებული იქნება მისი ბაღში ყოფნის დროის გასახანგრძლივებლად და ასევე მისთვის საბაზისო სიტყვების გამოყენების სიტუაციის შესაქმნელად:

ლუკას მოძრავ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა არა მხოლოდ ეზოში ეძლევა, არამედ ის ყოველ დღე, რამდენიმე ბავშვთან ერთად, დიდ დარბაზშიც შეყავთ, სადაც მას სირბილისა და კოტრიალის შესაძლებლობა ეძლევა. გარდა ამისა,

როდესაც ბაღში მასთან ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფში სპეციალური განათლების პედაგოგი და ფსიქოლოგი მუშაობს, ისინი თავიანთ სესიებში მონაცვლეობით მოძრავ თამაშებსაც რთავენ.

სწორედ ამგვარი აქტივობებისას, როდესაც მის გვერდით გულისხმიერი კომუნიკაციური პარტნიორები არიან ლუკამ დაიწყო სიტყვების - „კიდე მინდა“, „მომწონს“ - გამოყენება.

ახლა უკვე ლუკა ბაღში თითქმის მთელ დღეს ატარებს და მისი ინდივიდუალური გეგმის ნაწილია გაიუმჯობესოს საკუთარი და სხვისი გრძნობების აღქმისა და გამოხატვის უნარი.

- ❖ ბაღის ლოგოპედმა იცის, რომ მარის დახმარება არაეფექტური იქნება იმ სტრატეგიით, რომ ყოველ ჯერზე მარის არასწორად ნათქვამი სიტვების სწორი სიტყვებით ჩანაცვლება სთხოვოს. მან იცის, რომ მარის ს-სა და შ-ს, ჭ-სა და წ-ს შორის განსხვავება ყველა შესაძლო გზით უნდა დაანახოს და შეაგრძნებინოს.

რამდენადაც მარი უკვე სკოლისათვის მოსამზადებელ ჯგუფშია, ლოგოპედმა გადაწყვიტა მასთან როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი და ტაქტილური მოდალობებიც გამოიყენოს. შესაბამისად, გარდა იმის, რომ მარის ლოგოპედი ასწავლის რა განსხვავებაა ს-სა და შ-ს, ჭ-სა და წ-ს წარმოთქმას შორის, ის მარის ს-სა და შ-,. ჭ-სა და ჭ-ს აწერინებს, ახატინებს, აძერწვინებს, თვალებს ახუჭინებს და ხელზე აწერს, ასევე ტომარაში ჩაყრილ ასოებში შ-სა და ს-ს, ჭ-სა და ჭ-ს აძებნინებს და ა.შ.

- ❖ ცხადია, ლიზის აქვს ენობრივი განვითარების მეორადი დარღვევა, რაც მის სმენასთან დაკავშირებული პრობლემებითაა გამოწვეული. ლიზის მშობლებმა იციან, რომ ბუნებრივ გარემოში ლიზის ენობრივი განვითარებისათვის აუცილებელია, მისი იმპლანტის სქემა ყოველთვის ადეკვატურად ფუნქციონირებდეს, ამიტომ მათ ლიზი რეგულარულად

დაყავთ აუდიოლოგთან და აუდიოპედაგოგთან, იმ ბგერათა სიხშირის შესამოწმებლად, რომელიც ლიზის უნდა ესმოდეს.

ბაგა-ბაღის აღმზრელ-პედაგოგმა და ლიზის აუდიოპედაგოგმა ტელეფონით ისაუბრეს და ახლა ლიზის ჯგუფში იციან, რომ, როდესაც უფროსები საუბრობენ, ლიზი ყოველთვის ახლო უზით, თან ისე, რომ მოსაუბრის სახეს ხედავდეს. ლიზისთან საუბრისას აღმზრდელ-პედაგოგიც და აღმზრდელიც ყოველთვის მოკლე და მკაფიო წინადადებებს იყენებენ. ლიზის ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგმაც და აღმზრდელმაც იცის, რომ ფონური ხმები ლიზის სხვების მეტყველების აღქმასა და გაგებაში უშლის ხელს, ამიტომ როდესაც რაიმე მცირე ჯგუფურ აქტივობებს გეგმავენ (ლიზის ინდივიდუალური გეგემის ნაწილია, რომ მათ ყოველდღიურად 10-20 წუთის მანძილზე უნდა ჩაერთოს უფროსის მიერ წარმართულ თამაშში 2-3 ბავშვთან ერთად), ისინი ფონურ ხმებს ითვალისწინებენ და ამ თამაშს ისეთ დროს გეგმავენ, როდესაც ჯგუფის დანარჩენი წევრები უფრო მშვიდი აქტივობებით არიან დაკავებული. გარდა ამისა, ლიზი ყოველდღე ატარებს გარკვეულ დროს ბაღის ლოგოპედთან. ლიზის მშობლებმა ბაღის ლოგოპედი ლიზის აუდიოპედაგოგს შეახვედრეს და ახლა იგი, ლიზისთან სესიის დაგეგმვისას ზუსტად ითვალისწინებს ლიზის აუდიოპედაგოგის რეკომენდაციებს.

- დაჩის აღმზრდელ-პედაგოგი გამოცდილი, გულისხმიერია ადამიანია. ის ესწრება ხოლმე ადრეულ განათლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სემინარებსა და ტრენინგებს, ასევე ხშირად კითხულობს ამ თემატიკასთან დაკავშირებულ ლიტერატურას. მას ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია, დაჩის მშობლებს ყურადღება მიაქცევინოს დაჩის ენის განვითარებასთან დაკავშირებული სირთულისადმი, რომელიც ძალიან თვალსაჩინო არ არის, რადგან დაჩი ზოგადად (სხვა სფეროებში) საკმაოდ კარგად ვითარდება, მეგობრული ბავშვია, უყვარს თამაში და კომუნიკაცია.

დაჩის აღმზრდელ-პედაგოგმა გადაწყვიტა დაჩის დედისთვის შეეთავაზებინა ერთად შეევსოთ ბავშვის ენობრივი განვითარების კითხვარი. მასწავლებელმა ერთ დღეს დაჩის დედას უთხრა, რომ იგი რეგულარულად აფასებს ყველა ბავშვის

განვითარებას სხვადასხვა სფეროების მიხედვით, ასევე უთხრა, რა კარგად ვითარდება დაჩი შემცნებითი, თვით-მოვლის, სოციალურ-ემოციური და მოტორული თვალსაზრისით (თუმცა ცოტა მეტი ვარჯიში ჭირდება წონასწორობის გასაუმჯობესებლად), ასევე უთხრა, რომ დაჩი ძალიან მეგობრული და კომუნიკაბელური ბავშვია და ყოველთვის მზად არის მეგობრებს დაეხმაროს. ამ საუბრისას, მასწავლებელმა მშობელს ასევე უთხრა, რომ რამდენიმე შეკითხვა აქვს დაჩის ენობრივ განვითარებასთან დაკავშირებით, რადგან ფიქრობს, რომ შესაძლებელია სხვა სიტუაციებში, მაგალითად სახლში, დაჩი მეტ ყურადღებას ავლენს დაწერილისა და დაბეჭდილის მიმართ, ბაღის გარემოში კი მას ამ თვისების დანახვა გამოეპარა. ამიტომ აღმზრდელ-პედაგოგმა დაჩის დედას სთხოვა, ენობრივი განვითარების კითხვარი ერთად შეევსოთ და შეთანხმდნენ, რომ ამას მეორე დღეს გააკეთებდნენ.

მას შემდეგ, რაც მეორე დღეს, დაჩიმ დედამ და მასწავლებელმა კითხვარი ერთად შეავსეს და მეტი ისაუბრეს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ენობრივი განვითარების ადრეულ ასაკში ხელსეწყობა იმისათვის, რომ დაჩისს მოგვიანებით წერა-კითთხვასთან დაკავშირებული პრობლემები ნაკლბად გამოუვლინდეს, დაჩის დედა დათანხმდა, რომ ბაღში მასწავლებელი დაჩისთან ამ საკითებზე ინდივიდუალური მიდგომით იმუშავებდა და საქმეში ბაღის ლოგოპედსაც ჩართავდა.

ამის შემდეგ, აღმზრდელ-პედაგოგმა და ლოგოპედმა ერთად დაგეგმეს ინდივიდუალური მიდგომები დაჩისთვის. გადაწყდა, რომ დაჩი და კიდევ რამდენიმე ბავშვი, რომელთათვისაც ასევე სასარგებლო იქნებოდა ფონოლოგიური აღქმისა და ენობრივი განვითარების აქტივობები, კვირაში ორჯერ იმუშავებდნენ ბაგა-ბაღის ლოგოპედთან, რომელსაც აქვს სპეციალური პროგრამა - სახალისო აქტივობები ენობრივი განვითარების და ფონოლოგიური აღქმის ხელშეწყბოსათვის. გარდა ამისა, აღმზრდელი და აღმზრდელ-პედაგოგი განსაკუთრბულ ყურადღებას გამოიჩენენ დაჩის მეტყველების მიმართ, ყოველთვის მიაქცევენ ყურადღებას დაჩის ნათქვამს და გამოიყენებენ მასთან პოზიტიური

მოდელირების მიდგომებს. უფრო მეტად დაინტერესდებიან, რომ დაჩი ნაწერებთან და ასოებთან დაკავშირებულ სახალისო აქტივობებში ჩართონ, მეტი ითამაშონ მასთან ისეთი თამაშებით, სადაც ხშირად უნდა გავცეთ პასუხები კითხვებზე: ვინ გააკეთა,? ვისია? რით გააკეთა? სად გააკეთა? რა გამოიყენა? ვისთან მივიდა? რა დასჭირდა? რატომ? და ა.შ. ისინი მეტ დროს დაუთმობენ, რომ აღმოაჩინონ და გაასწორონ ფონოლოგიური შეცდომები, მეტ დროს დაუთმობენ, რომ დაჩი ათამაშონ ბგერებითა და მარცვლებით, ავარჯიშონ სიტყვის ბგერათა ანალიზსა და სინთეზზე; "დაუხატავენ" მოკლე საბავშვო სიმღერებსა და ლექსებს, რათა დაჩიმ ვიზუალურადაც აღიქვას რამდენი სიტყვაა თითო სტრიქონში, რომელია ერთმენთის მსგავსი სიტყვები და ა.შ. გააკეთებენ მარცვლების ვიზუალიზაციას - დაჩისთან ერთად დახატავენ საგნებს, შემდეგ მიუწერენ სიტყვებს დაა მიახატევავენ იმდენ რგოლს, რამდენი მარცვალიცაა ამ სიტყვაში; დააწყვილებინებენ სურათებს, რომელზეც მსგავსი ჟღერადობის საგნებია გამოხატული; ერთად გააკეთებენ "სიტყვების ხალიჩებს", "სიტყვების კლასობანა" რათა დაჩი, იმდენ უჯრედზე გადახტეს, რამდენი მარცვალი ან ბგერაცაა სიტყვაში. წაახალისებენ და აღნიშნავებ დაჩის ყველა წარმატებას ამ მიმართულებით. მათ იციან, რომ ყველა ეს აქტივობა არა მხოლოდ დაჩისთვის, არამედ სხვა ბავშვებისთვისაც ძალიან სასარგებლოა.